ბ-63/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი სხივი

საქართველოს წიგნის პალატა

№ 1

სახელმწიფო გამომცემლობა — 1926 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი.

1. ხალხური სიბრძნიდან სიჭირეთ. ქიმკავშირის მეტრეე ყრილობის მიმართ ოთარიან ოთარიშვილისა 1
2. ბალადის — ლექსი ა. ლ. ძისა 2
3. ლიდო ბალადი — ზანისა 2
4. ბიბლიო — ლექსი. შ. ქარიშიანელიშვილისა 4
5. ბერძენ ლიბერალისტის ხსოვნას ლექსი — ი. ჩქარეულისა 5
6. ბანი სტერლინგი — ზიესა. თარგმანი ო. ბ—ისა . 5
7. ინდიოელების ზეცალდი ჰ. სტენლეისა. თარგ. კ—ისა 13
8. ლენინი და ქალის ბავშვები ლექსი ხ. ვ. ხალვაშვილისა 16
9. ზეშოიმი ფეოტრონი ბავშვთა შორის. — ვ. ბ—ისა . 19
10. ნაბიჯი, — ლიოზიდე ანთავისა 21
11. ბატონი ესკიმოსი კაცი თარგ. ვ. ბ—ისა . . . 25
12. 9 იანვარი — ლ. კ—ისა 29
13. ცხრა იანვარი ლექსი ხ. ფარეშიძისა 31
14. როგორ გვეტყვიან ფაცალი თარგ. ნ—ისა . . . 32

წ-63



ეროვნული ბიბლიოთეკა

1926 იანვარი

განათლების სახალხო კომისარიატის | სოციალური აღზრდის მთავარმართველობის და ახალგაზრდათა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალი შავშებისათვის.

წელიწადი 3
№ 1

1088

სალამი სრულიად საქართ. კომკავშირის მერვე ყრილობას.

„წითელი სხივის“ ეს ნომერი სრულიად საქართველოს კომკავშირის მერვე ყრილობას, ჩვენი სახელოვანი, მებრძოლი კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ყრილობას ეძღვნება. მუშისა და გლეხის ყველა ბავშვმა, ყველა მოსწავლემ, და მით უმეტეს ყველა პიონერმა, უნდა იცოდეს, თუ ვინ არიან კომკავშირელები, ანუ ახალგაზრდა ლენინელები, ვის ინტერესებს იცავენ ისინი, რას აკეთებენ, რას ისახავენ თავის მთავარ ამოცანად, როგორ ეხმარებიან ბავშვებს და როგორ ეხმარებიან საბჭოთა ხელისუფლებას, რომ მან აღზარდოს პიონერები, აღზარდოს ისე, რომ ისინი გახდენ კარგი, პატიოსანი მოქალაქენი, რომ მათ ერთგულად იბრძოლონ და საბოლოოდ გაათავისუფლონ მშრომელნი კაპიტალის ექსპლოატაციისაგან. ბრძოლა შრომასა და კაპიტალს შორის დროს მოითხოვს. ეს ბრძოლა იქნება სასტიკი, ძნელი, ხანგრძლივი. ამ ბრძოლაში გაიმარჯვებს ის, ვინც უფრო იქნება მომზადებული მეცნიერულად, ვისი ტეხნიკაც უკეთესი იქნება, ვინც უფრო შეგნებულად იქნება მომზადებული ამ ბრძოლისათვის, ვინც საერთაშორისო სოლიდარობის და კაკობრიობის სიყვარულის იდეებით იქნება აღფრთოვანებული, ვინც შესძლებს, რომ თავის ინტერესებზე მაღლა დააყენოს საზოგადოების ინტერესები, ვინც შესძლებს, რომ თავისი კეთილდღეობა შესწიროს კაკობრიობის გამარჯვებას, ვინც მზად იქნება ყოველგვარი მსხვერპლი გაიღოს საერთაშორისო რევოლუციის გულისთვის, ექსპლოტატორთა მონობისაგან მთელი მშრომელი კაკობრიობის განთავისუფლებისათვის. სწორედ კომკავშირელები ეწევიან თავის წევრებსა და პიონერებს შორის ისეთ მუშაობას, რომ ახალი თაობა გახდეს ახალი, კომუნისტური წესწყობილებისათვის თავდადებული მებრძოლი. კომკავშირელები სახალხო განათლების კომისარიატსაც ეხმარებიან მუშაობაში. ისინი ხელმძღვანელობას უწევენ ფორპოსტებს სკოლებში, ისინი სკოლებში აარსებენ კომკავშირის უჯრედებს ფორპოსტების და უჯრედის საშულებით, ისინი მუშაობას ეწევიან დანარჩენ მოწაფეებშიც, ისინი გვეხმარებიან პროგრამების და სახელმძღვანელოების შემუშავებაშიც. ეს ჟურნალიც, რომელსაც თქვენ ყოველ თვეში კითხულობთ, კომკავშირელების უშუალო მონაწილეობით გამოდის. ისინი ჩვენთან ერთად მუშაობენ ჟურნალში, ისინი ეხმარებიან ბავშებს, რომ მათ სწორედ შეიგნონ მსოფლიო და ყოველივე ის, რაც ხდება ჩვენს ირგვლივ და მთელს ქვეყნიერებაზე, ე. ი. ეხმარებიან, რომ მათ შესძლონ წესიერად გარკვევა ცხოვრებაში და მტკიცედ, მედგრად მოჰკიდონ ხელი მუშათა კლასის ინტერესების დაცვას.

საქართველოს ყოველი კუთხიდან, ყველა მაზრებიდან, ქალაქებიდან და ბევრი თემიდან მერვედ იკრიბებიან ახლა ისინი, რომ შეამოწმონ თავისი მუშაობა, შეამოწმონ, გამოარკვიონ, თუ ისინი, ახალგაზრდა ლენინელები, რამდენად ასრულებენ თავისი ესოდენ საყვარელი ბელადის და მასწავლებელის ლენინის ანდერძს, იკრიბებიან, რომ აღნიშნონ და გამოასწორონ თავისი შეცდომები, მერმე კი ისევ განაგრძონ მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის და ბავშების ორგანიზაციის საქმე, მოამზადონ ისინი ბრძოლისა და გამარჯვების მძიმე, ძნელი საქმისათვის.

ახალგაზრდა მეგობრებო! თქვენთან ერთად ვესალმებით ჩვენს სახელოვან კომკავშირს და ვუსურვებთ, რომ მათი და პიონერების რიგები უფრო და უფრო გაფართოვდეს და გამტკიცდეს, ვუსურვებთ, რომ მათ რიგებში გვენახონ ჩვენი ჟურნალის საუკეთესო მკითხველნი, ვუსურვებთ, რომ შემცველელთა მე-2-ე და მე-3-ე წყება გადაქცეულიყოს კომუნისტური საზოგადოებისთვის თავგანწირულ და მის სადარაჯოზე მდგომ მძლავრ, მედგარ და მრავალრიცხოვან ლაშქრად.

მარიამ ორახელაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბელადს

ორი წელია გამოაკლდი
შენს ერთგულ ლაშქარს,
ორი წელია ვერ შევცქერით
შენს მებრძოლ სახეს...
მაგრამ შენი გზა, შენი სწავლა
ჩვენ გულით დაგვაქვს,
შენზე სიყვარულს დრო და სივრცე
ჩვენში ვერ დახევს.

შენ ბრძოლის ცეცხლში
ვარსკვლავივით წინ მიგვიძღოდი,
ძველ საუკუნეს შევებრძოლეთ,
ცეცხლით დავფარეთ;
ო, ჩვენი ხსოვნა ვერ გაიქრობს
თავის წინამძღოლს,
მშრომელთ გულია, დიდო ლენინ,
შენი სამარე.

ბელადო, კიდევ გადაიარს
ათასი წლები,
გაქრება ხალხში სიძულვილი
მტრობა და ჩაგვრა...

და სხვა დღეები სიხარულით
გულში ჩაწვება,
და სხვა დღეებში სიხარულის
დავიდგამთ აკვანს.

კ. ლ-ძე.

დიდი ბელადი.

ორი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც მსოფლიო პროლეტარიატმა და კომუნისტურმა პარტიამ დაჰკარგეს თავისი დიდი ბელადი—ვლადიმერ ლენინი.

ორი წლის წინად შესწყდა იმ ადამიანის გულის ცემა, რომელიც რამოდენიმე ათეული წლების განმავლობაში იბრძოდა მშრომელი ხალხის გასათავისუფლებლად, რომელიც რამოდენიმე ათეული წლების განმავლობაში წინ მიუძღოდა წითელი დროშით საერთაშორისო რევოლუციონურ პროლეტარიატს და მოუწოდებდა მას ძველი, კაპიტალისტური ქვეყნების წინააღმდეგ.

დღეს საჭიროა მოვიგონოთ, რას გვასწავლიდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, რა გვიანდერძა მან და რისთვის იბრძოდა ის მთელი ათეული წლების განმავლობაში.

ჯერ კიდევ ბავშობიდანვე ლენინი ყურადღებას აქცევს რევოლუციონურ მუშაობას, რისთვისაც მას თავიდანვე უხდება დევნის, შევიწროების ატანა. მაგრამ ლენინი არ უშინდება ასეთ მდგომარეობას და კვლავ განაგრძობს გაბედულ ბრძოლას მეფისა და პურჟუაზიის წინააღმდეგ.

ლენინს ციმბირშიაც უხდება რამოდენიმე წელს ყოფნა.

ციმბირიდან დაბრუნების შემდეგ ის იძულებულია ევროპაში გადასახლდეს, საიაც მან 1917 წლის რევოლუციამდე დაჰყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთში ჩასვლისთანავე ლენინმა თავის გარშემო შემოიკრიბა ლენინგრადის და სხვა ქალაქების მუშები და ჯარისკაცები და მისცა მათ მოქმედების პროგრამა.

მისი სამოქმედო პროგრამის დედააზრი ასეთი იყო: დიდი გამარჯვებაა, რომ მუშებმა შესძლეს 1917 წ. თებერვალში მეფის ჩამოგდება, მაგრამ ეს არ კმარა—მუშებმა უნდა ჩამოაგდონ აგრეთვე მემამულეები და კაპიტალისტები. საჭირო არის დაუყონებლივი ბრძოლა, რომ ძალა-უფლება გადაეცეს მშრომელ ხალხს, ქარხნები—მუშებს, მიწები გლეხებს.

საჭიროა დავიწყოთ რევოლუციისათვის მზადება.

ლენინის მიერ ასეთი აზრების ქადაგებას მრავალი მტერი და მოწინააღმდეგე აღმოუჩნდა. გადაწყვეტილი ჰქონდათ მისი დაპატიმრება; საჭირო იყო, რაც შეიძლება კარგად დამალოდა ის თავის მოსისხლე მტრებს.

ის ასეც მოიქცა, მაგრამ თავის ფარულ ბინაზედაც განაგრძობდა მუშაობას და ბრძოლისაკენ მოუწოდებდა მუშებს; 1917 წლის ოქტომბერში, გადატრიალების წინ, ის უშუალო ხელმძღვანელობას უწევდა პარტიის და რევოლუციის ყველა სასიცოცხლო ძალებს. ლენინის სწორი ხელმძღვანელობის შედეგი იყო მთელი ძალა-უფლების მუშების და გლეხების ხელში გადასვლა.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მოღვაწეობა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ყოველთვის ცხადი და ნათელია. ის უცვლელად სდგას სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის სადარაჯოზე. მისი უშუალო ხელმძღვანელობით არსდება მუშათა კლასის მსოფლიო შტაბი—მე-III-ე კომუნისტური ინტერნაციონალი. მისი ხელმძღვანელობის არც ერთ ხანაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ საბჭოთა ხელისუფლებას და კომუნისტურ პარტიას გამოეცეს ერთი დეკრეტი, ერთი საყურადღებო გადაწყვეტილება, რომლის გადაჭრაშიაც უშუალო მონაწილეობა თუ ხელმძღვანელობა არ გაეწიოს ლენინს.

ვლ. ლენინი ყოველთვის შეუდარებელი ენერგიით და გამჭრიახობით ატარებდა ცხოვრებაში გამარჯვებული კლასების—მუშების და გლეხების—რევოლუციონურ დაკავშირებას („სმიჩკა"). მთელი თავისი რევოლუციონური ბრძოლის და მოღვაწეობის ხანაში ის მოითხოვდა, რომ გლეხებს მისცემოდა მიწები და ამით ისინი გადმოიყვანა რევოლუციის მხარეზე.

როდესაც საბჭოთა რუსეთს ყოველი მხრით მტრები ეხვია გარს, როდესაც მუშების და გლეხების სისხლით მონაპოვარ ხელისუფლებას განადგურებას უქადოდენ, მაშინ მხოლოდ ერთადერთი ვლადიმერ ლენინი იდგა დაუღალავად, მხნედ, შეუპოვრად, ფიქროობდა და მუშაობდა ყველას მაგიერ. მისი მძლავრი ხმა, მისი მოწოდება აღვიძებდა ყველას, ამხნევებდა სულით დაცემულებს, აკავშირებდა მათ, უნერგავდა გამარჯვების რწმენას და იმედს.

მხოლოდ ისეთი ბელადის ხელმძღვანელობის ქვეშ, როგორიც იყო ლენინი, შეიძლებოდა გამარჯვება.

ლენინის ეს მტკიცე, დაუღალავი და სარგებლიანი მუშაობა არ აძლევდა მოსვენებას ძვენს მტრებს. მათ კარგად ესმოდათ, რომ მისი მნიშვნელობა რევოლუციისათვის განსაზღვრელი იყო, ამიტომ განიზრახეს მისი სიკვდილი.

ორჯერ მოაწყეს ლენინზე თავდასხმა. პირველად მას ესროლეს 1918 წლის 1 იანვარს ლენინგრადში, როდესაც ის მიტინგიდან ბრუნდებოდა. მაშინ ლენინი გადარჩა უვნებლად. ტყვიებმა მხოლოდ ავტომობილი გახვრიტა.

მეორე თავდასხმა მასზე მოახდინეს 1918 წ. 30 აგვისტოს მოსკოვში, როდესაც ვლადიმერ ილიას-ძე ქარხანაში შემდგარი მიტინგიდან ბრუნდებოდა.

აქ ვლადიმერ ილიას-ძე დასჭრეს საწამლავით შემზადებული ორი ტყვიით. ჭრილობა მეტად სერიოზული იყო. რამოდენიმე დღის განმავლობაში ლენინი ებრძოდა სიკვდილს, მაგრამ მაინც გადაიტანა მძიმე ჭრილობა.

ლენინი დაუღალავად მუშაობდა. არც ერთ დღეს, არც ერთ საათს არ ჰკარგავდა ის ტყუილაუბრალოდ და განუწყვეტლივ მუშაობას ეწეოდა.

ამ მუშაობამ, რომელიც ადამიანის ძალ ღონეს აღემატებოდა, შეუმჩნეველად დაუსუსტა ძალ-ღონე მაშვრალთა ბელადს და მეგობარს; ოცდათხუთმეტს

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელზე მეტმა რევოლუციონურმა მუშაობამ დაასნეულა ისეთი ადამიანიც კი, როგორც იყო ლენინი; მისმა გულმა ვერ აიტანა...

მთელი მსოფლიოს მუშები და გლეხები გულისფანცქალით ადევნებდენ თვალყურს ლენინის ავადმყოფობას. ყველას იმედი ჰქონდა, რომ ექიმები შესძლებდენ მის განკურნებას, მაგრამ 1924 წლის იანვრის 21, საღამოს 6 საათზე და 50 წუთზე ლენინი გარდაიცვალა.

მოკვდა ლენინი, დაობლდა მშრომელთა ქვეყანა.

მოკვდა ლენინი, მაგრამ მის მიერ დაწყებულ-საქმე ცოცხლობს მთელი ქვეყნის მუშებისა და გლეხების გულში.

ჩვენი მტრები დიდ სიხარულში იყვნენ: ლენინის სიკვდილის შემდეგ მის მიერ დაწყებული დიდი საქმის გაძღოლას ვერ შესძლებენ მისი მოწაფეები, მისი თანამებრძოლები და დაიშლება საბჭოთა სახელმწიფოო.

მაგრამ მტრების სისინი არ გამართლდა. ლენინის მემკვიდრეები ღირსეულად უძღვებიან საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მუშათა კლასის ბრძოლას კაპიტალის წინააღმდეგ. ისინი დააბოლოვებენ ლენინის დაწყებულ საქმეს. რომ ეს სწორედ ასე იქნება, ამას ამტკიცებს იმ მიღწევების მთელი რიგი, რომელიც აქვს საბჭოთა სახელმწიფოს ამ ორი წლის განმავლობაში.

შანი.

მაშინ.[1]

ბოკისპირული სისხლის წვიმა
ფოლადს ალღობდა.
მიწა იწვოდა, ნახშირსავით მკერდგამურული.
არწივი მძლავრი, ფრთებგაშლილი
სივრცეს აპობდა.
ისრები მიწას ესობოდა, როგორც შურდული.
ორი მებრძოლი: კარლ ლიბკნეხტი
და ლუქსემბურგი,
ბარიკადებად რკინის აზრებს ამთაგორებდა.
გასალკლდევებულ, გაუტეხელ
ფოლადის ზურგით
ულმობელ ბორბლებს გამძლეობით მიაგორებდა.

— —

ცა წარბშეკრული, შებურდნული
ღრუბლის საბანით,
ცრიდა ტყვიებს, და ზანზარებდა მიწა ცოდვილი.
მშრომელი ხალხის საამაყო,
ღირსეულ შვილებს
კორტნიდა თვალებს მყრალი ყვავი, ფრთებ-
მოტეხილი.

შ. ქარიშხლიშვილი.

[1]) იგულისხმება 1919 წლის 15 იანვრის ღამე, როცა გერმანიის სოციალ-დემოკრატების ჯალათებმა მხეცურად განგმირეს კ. ლიბკნეხტი და როზა ლუქსემბურგი. იხ. აქვე სურათები.

კარლ ლიბკნეხტის ხსოვნას.

ო, ვინ დასთვალოს
დაღუპული სახელი გმირთა,
ათასი გული ტკივილებით
მძიმე და სავსე...
ძმებო!
ამ წუთში მოვაგონო
თქვენს ხსოვნას მინდა,
ერთი სახელის თავდადება,
რომ გვაფრქვევს ალერსს.

ვხედავ: ქუჩებში
ბარიკადებს,
გამოსულ მასებს...
ო, მათ სახეზე მძაფრ რისხვების
ბეჭედი მოსჩანს...
იქ კი ვინ არის,
ცეცხლ-სიტყვებით
მათ გულს რომ ავსებს,
იქ, სადაც მეფობს სიკვდილი და
ფრიალებს დროშა...

ის ლიბკნეხტია, კარლ ლიბკნეხტი
განწირულ გულით,
მას ვერ აშინებს ჯალათების
ხროვა და ტყვია...
და ბრძოლით, ცეცხლით
ბარიკადზე მებრძოლებს უვლის,
ო, ქედის მოხრა, დამონება
მას არ ატყვია!
მაგრამ გამოჩნდა შუქელვარე
ცაზე ღრუბლები,
ჯალათთა ხროვა ძლიერია,
სასტიკი, უნდო!
მებრძოლო ლიბკნეხტ!.
ამ ბრძოლაში შენ იღუპები,
იქ კი ზეიმობს სისხლის მსმელი
მდიდრების ურდო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ დაილუპე,
შეეწირე მშრომელთა საქმეს;
გსურდა დაგენთო გამარჯვების
ძლიერი ალი...
და დაილუპე... შენს მიზანს ჩვენ
შევასხით ფრთები...
ლიბკნეხტ, მოხედე,
ის ჩვენს თავზე ეხლა ფრიალებს!

თამარ ჩქრეული

სამი სტერლინგი

შვიდსურათიანი პიესა ინგლისელ ბავშთა კომუნისტური უჯრედის ცხოვრებიდან.

მოქმედებენ:

თავმჯდომარე
მდივანი
პირველი პიონერი
მეორე პიონერი
პირველი პიონერი ქალი
მეორე პიონერი ქალი
პიონერთა რაზმი
გარრი—მუშა, ინგლისის კომპარტიის აგიტატორი.
მისი ცოლი
ჯეკ—ცამეტი წლის ვაჟი, ბავშთა კომუჯრედის წევრი
ჯიმ—ცამეტი წლის გოგო, ჯეკის და, ბავშთა კომუჯრედის წევრი
პირველი სკაუტი
მეორე სკაუტი
მესამე სკაუტი
მეოთხე სკაუტი
ორი სკაუტი
პოლიციელი
აგენტი
ლუდის დუქნის პატრონი
შოფერი

სურათი პირველი

სცენაზე სდგას მაგიდა და სკამები. მაგიდასთან სხედან თავჯდომარე და მდივანი. სკამებზე და იატაკზე მოთავსებულა პიონერების რაზმი.

თავმჯდომარე. მაშ, ასე, ამხანაგებო, შეეძელით ოცდაათი მანეთის შეკრება. სიტყვა ეძლევა ცნობისათვის მდივანს.

მდივანი. თანახმად ჩვენი დადგენილებისა, ეს ფული უნდა მოხმარდეს დასავლეთ ბავშთა ორგანიზაციებს.

თავმჯდომარე. ჩვენ დღეს უნდა გამოვარკვიოთ, თუ როგორ გადავცეთ ეს ოცდაათი მანეთი მათ, ვისაც იგი ჩვენი დადგენილებით ეკუთვნის.

პირვ. პიონერი. ჩემი აზრით, ეგ ფული გავანაწილოთ ევროპის ბავშთა სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის.

თავმჯდომარე. ერთი წინადადება უკვე არის. არის კიდევ თუ არა სხვა წინადადება?

მეორე პიონერი. მე მაქვს კიდევ წინადადება ჩემი აზრით, ფული არ უნდა დანაწილდეს. ოცდაათი მანეთი დიდი ფული არ არის. ამიტომ იგი გადავგზავნოთ მხოლოდ ერთ ადგილას.

თავმჯდომარე. არის კიდევ რაიმე წინადადება?

ხმები. არა, არა.

თავმჯდომარე. შემოსულ წინადადებებს კენჭს ვუყრი. ვინც არის მომხრე პირველი წინადადების, ვთხოვ ხელი აწიოს.

(ბავშთა ძალიან მცირე ნაწილი სწევს ხელს)

თავმჯდომარე. კარგი. ვინც მომხრეა მეორე წინადადების, ე. ი. რომ ფული გადაეგზავნოს მხოლოდ ერთ ორგანიზაციას, ვთხოვ ხელი აწიონ.

(ხელს სწევს უმრავლესობა)

თავმჯდომარე. უმრავლესობაა. მაშასადამე, მიღებულია შემდეგი დადგენილება: ფული არ დანაწილდეს, ოცდაათი მანეთი მთლიანად გაიგზავნოს ერთ ადგილას. ახლა გადასაწყვეტია საკითხი, თუ სად, რომელ ადგილს გაიგზავნოს?

პირველი პიონერი გოგონა. ჩვენ რომ კავშირი გვაქვს ინგლისის ერთ-ერთ ბავშთა ორგანიზაციასთან, მათგან უკვე მეხუთე წერილი მივიღეთ (ხმები: მართალია, მართალია), ავიღოთ და მათ გავუგზავნოთ.

მეორე პიონერი გოგონა. ისინი უკანასკნელ თავის წერილში იწერებოდენ, რომ მუშაობა ძალიან უძნელდებათ უსახსრობის გამო. (ხმები: მართალია! გავუგზავნოთ! გავუგზავნოთ!)

თავმჯდომარე. შემოსულ წინადადებას კენჭს ვუყრი.

ხმები. არ არის საჭირო კენჭის ყრა, საჭირო არ არის. გავუგზავნოთ! ყველა თანახმაა.

თავმჯდომარე. წინადადება მიღებულია. ჩვენ მიერ შეგროვილი ოცდაათი მანეთი გაეგზავნოს ინგლისის ბავშთა ორგანიზაციას, რომელთანაც ჩვენ უკვე კავშირი გვაქვს გაბმული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმები. წერილიც მივწეროთ! უსათუოდ!

მდივანი. წერილის შედგენა დაევალოს პრეზიდიუმს.

ხმები. არა!. არა! ახლავე! ყველამ ერთად შევადგინოთ!

თავმჯდომარე. კარგი. (მდივანს) შენ სწერე და თან წაიკითხე, ბავშები კი შესწორებებს შემოიტანენ.

მდივანი. აბა, ვწერ... ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენმა რაზმმა შეკრიფა ოცდაათი მანეთი და გიგზავნით...

ხმები. რა სახით შევაგროვეთ, ისიც საჭიროა რომ ჩაიწეროს.

მდივანი. კარგი. ნაწილი ამ ფულის ჩვენ შევაგროვეთ ხელის მოწერით, ნაწილი წარმოდგენის დადგმით ვიშოვეთ.

ხმები. ისიც ჩაწერეთ, რომ ნაწილი საბჭოთა მამულის მიწიდან კარტოფილის ამოღებაში მოგვცეს.

მდივანი. ნაწილი კი საბჭოთა მამულში მიწიდან კართოფილის ამოღებაში მოგვცეს და, აი, ამ ფულს გიგზავნით თქვენ....

ხმები. დაიცა, დაიცა!

მდივანი. რაშია საქმე?

ხმები. ისინი რომ ვერ გაიგებენ, თუ რა არის ოცდაათი მანეთი? საჭიროა იმათ ფულზე გადავთვალოთ.

მდივანი. იმათ ფულზე?

ხმა. რასაკვირველია. რა ვიცი, რა ფული აქვთ მათ ინგლისში?

თავმჯდომარე. მათ ქვეყანაში სტერლინგებია. სტერლინგი ჩვენ თუმანზე ცოტა ნაკლებია.

მდივანი. მაშ, გამოდის, რომ სამი თუმანი სამ სტერლინგზე ცოტა მეტია?

თავმჯდომარე. კარგი, სწორედ სამ სტერლინგად იანგარიშე.

მდივანი. სამი თუმანი, ძვირფასო ამხანაგებო, თქვენებურად სამი სტერლინგია. გიგზავნით ამ ფულს. მოიხმარეთ ისე, როგორც საჭიროდ დაინახავთ. მოვრჩი.

ხმა. მოიცა, ბოლოში მოაწერე: პიონერთა სალამით.

ხმა. კიდევ, კიდევ: მუშა ხალხის საქმისათვის საბრძოლველად მარად მზად იყავ!

მდივანი. მუშათა საქმისთვის საბრძოლველად მარად მზად იყავ!

ფარდა

სურათი მეოთხე

პარტიული დავალება.

გარრის ოთახის ერთ კუთხეში მისი ცოლი აწყობს მაგიდას; სჭრის პურს, სდგამს. თეფშებს. (ამ დროს შემოდის გარრი)

ცოლი. ძლივს!

გარრი. მე მხოლოდ ხუთი წუთით მოველ.

ცოლი. რა, კიდევ სადმე მიდიხარ?

გარრი. ჰო, მეორე მიტინგზე. გაფიცული ქარხნების სახელმძღვანელოდ ხალხი არა გვყოფნის. გაფიცვა კი ფართოვდება და ძლიერდება.

ცოლი. აბა, დაჯექ. გვაქვს ცივად მოხარშული ხორცი და რძე. ლუკმის შეჭმას მაინც მოასწრებ.

გარრი. (ჯდება) ეგეც საკმაოა, აბა, ჩქარა! შევჭამ რასმე (ცოლს მოაქვს საჭმელი, გარრი ხარბად სჭამს. ამ დროს კარის კაკუნი ისმის)

ცოლი. ვინ არის?

ჯეკის ხმა. ამხანაგი გარრი აქა ცხოვრობს?

ცოლი. შენ გკითხულობენ. (გარრი მიდის კართან)

გარრი (კარს არ აღებს) თქვენ ცუდ ამინდში მოსულხართ.

ჯეკის ხმა. წვიმამ უკვე გადიღო.

გარრი. მაგრამ ღრუბლებიჯერ არ დაშლილა.

ჯეკის ხმა. მზე გამოიყურება.

გარრი (აღებს კარებს) მოდით.

(ჯეკ შემოდის)

გარრი. რაშია საქმე?

ჯეკ. თქვენთან ბარათია კომიტეტიდან.

გარრი. (ართმევს ბარათს და კითხულობს) აჰა! სერიოზული საქმეა... ახლავე.

ჯეკ. და ამასთანავე დამავალეს პირადად მეთქვა: ფოლადის ჩამომსხმელ ქარხანაში გაფიცვა ნელდება. იქ მერყეევთა რიცხვი დიდია. მუშები მოითხოვენ თქვენს იქ ყოფნას, რადგან კარგად გიცნობენ. თუ თქვენ საღამოდის ვერ მოასწარით იქ მისვლა, საქმე დაიღუპება. ჩვენი მთავარი იმედი კი ის ქარხანაა.

გარრი. (ახედ-დახედავს ჯეკს) ბალღო, შენ დიდი ადამიანივით მსჯელობ. რატომ სწორედ შენ გამოგგზავნეს!

ჯეკი. ჯერ ერთი – მე ბალღი არ ვარ. მე ცამეტი წლის ვარ.

გარრი. ჰოო!

ჯეკი. დიახ, და მეორე ის, რომ პატარა უფრო ადვილად გაუძვრება ჯაშუშებს. მთელი გზა ვიღაც საეჭვო პირები უკან მომდევდენ.

გარრი. ჩემ ბინამდის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეკ. არა, ჩვენ ისინი აქედან მესამე უბანში დავთესეთ.

გარრი. ვინ ჩვენ?

ჯეკ. მე თან ჩემი და ჯიმი მახლავს. ჩვენ ყოველთვის ერთად ვმუშაობთ.

გარრი. ისიც შენსავით ქონდრის კაცია?

ჯეკ. ჩვენ ტყუბები ვართ. ჯიმი ხუთი წუთით ჩემზე უფროსია.

გარრი. ოო, ძალიან ბევრით დიდი ყოფილა ის შენზე.

ჯეკ. ხუთი წუთი დიდი დროა. ჩვენ აგერ სამი წუთია, რაც ვლაყბობთ.

გარრი. რა გინდა ამით სთქვა?

ჯეკ. თქვენ ალაგას მე მეტად ავჩქარდებოდი.

გარრი. (იცინის) ყოჩაღ! მართალი ხარ! მაგრამ მე ძალიან დაღლილი ვარ, ბალღო, ძალიან დაღლილი (იცვამს) შენ იცი, ორი ღამის უძილობა რა არის?

ჯეკ. ვიცი. ჩვენი სამი ღამეა, რაც არ გვძინებია.

გარრი. (პალტოს იცვამს) ვინ ჩვენ? ხო, ჯიმ დამავიწყდა. აჰა, მზად ვარ. მე ველოსიპედით მივდივარ, ასე სჯობია, ნაკლებ ყურადღებას მივიქცევ.

ჯეკ. იქამდის ორმოცი კილომეტრი არის.

გარრი. სწორედ მივუსწრებ. მე კარგი მანქანა მაქვს. აბა, წავიდეთ, ბალღო.

ჯეკ. არა, მე ცოტა ხანს აქ დავრჩები. ასე სჯობია. კარგს იზამთ, რომ ცოლთან ერთად გახვიდეთ. ერთი ორი უბანი ხელით წაიღეთ ველოსიპედი, ვითომ სასეირნოდ მიდიხართ.

გარრი. ველოსიპედი რომ მარტო ერთი გვაქვს?

ჯეკ. ნუ სწუხართ. ჯიმი ქვევით ქალის ველოსიპედით გელოდებათ. წადით ორივე.

გარრი. ოჰო, ბალღო, შენ აზრიანი ყოფილხარ! (ცოლს) წავიდეთ. აბა, მშვიდობით!

ჯეკ. მშვიდობით. ბარათი დასტოვეთ.

გარრი. რა ბარათი?

ჯეკ. რომელიც კომიტეტიდან მიიღეთ. თქვენ იგი უბეში ჩაიდეთ.

გარრი. ფუ! ყოჩაღ, ბავშო! გეტყობა, რომ შენი გოგრა კარგად მუშაობს.

ჯეკ. არა უჭირს-რა! მომეცით ბარათი, ასე. აბა, ახლა წადით. (გარრი და მისი ცოლი მიდიან. ცოტა ხანს სცენაზე სიჩუმეა. შემდეგ ისმის სტვენა. ჯეკ სტვენითვე უპასუხებს. შემოდის ჯიმი)

ჯეკ. წავიდენ?

ჯიმ. ცენტრისაკენ წავიდენ.

ჯეკ. არავინ დაედევნა?

ჯიმ, მგონი არავინ.

ჯეკ. კეთილი. აბა, ახლა მიამბე შენი ახალი ამბავი.

ჯიმ. აღარ გეტყვი. გზაში მინდოდა მეთქვა, და ყური არ დამიგდე.

ჯეკ. ჯიმ, ნუ სულელობ. გზაში ყბედობის დრო არ იყო, იქ საჭირო იყო, რომ ორივე ყური და ორივე თვალი... აბა, მოჰყევი.

ჯიმ. არა!

ჯეკ. (გაჯავრებით) ჯიმ!

ჯიმი. გაჯავრდი! გაგეხუმრე. როგორ თოფის წამალივით იფეთქე! აბა, ყური დამიგდე: მე დღეს ჩვენი ჯგუფისთვის სამი სტერლინგი გადმომცეს.

ჯეკ. ოჰო! ამ ფულით ბევრი რამის გაკეთება შეიძლება. საიდან?

ჯიმ. იმ პიონერებისაგან, რომელთანაც ჩვენ მიწერ-მოწერა გვაქვს.

ჯეკ. წერილიც არის?

ჯიმი. დიახ, აი...

ჯეკ. არა, წერილს მერე მაჩვენებ, ახლა უნდა კომიტეტში დავბრუნდეთ და შევატყობინოთ, რომ ყველაფერი ასრულებულია. წავიდეთ. (ამოიღებს გარრის მიერ დატოვებულ ბარათს და დახევას უპირებს)

ჯიმ. ეგ რას ხევ?

ჯეკ. გარრის სახელზე კომიტეტიდან ბარათს.

ჯიმ. ნუ დახევ. შეინახე.

ჯეკ. რისთვის?

ჯიმ. ამისთანა დოკუმენტები უნდა შევაგროვოთ. ნუ დაივიწყებ, რომ ჩვენ დიდებულ ხანაში ვცხოვრობთ.

ჯეკ. არაფერი არ მესმის.

ჯიმ. შემდგომ იქნება საჭირო ისტორიისთვის. იმათთვის, ვინც ჩვენი ბრძოლის შესწავლას მოჰკიდებს ხელს.

ჯეკ ფუ! რა სისულელე არ მოგივა ხოლმე, ჯიმ, შენ თავში.

ჯიმ. არა, ტყუვდები: რევოლუციის შემდეგ ამ ბარათს ჩვენ რომელიმე მუზეუმს გადავცემთ.

ჯეკ. სულელო გომბიო, ისე ლაპარაკობ, თითქო რევოლუცია ხვალ იწყებოდეს.

ჯიმ. ხვალ, ხვალ! დიახ, ჩქარა იქნება რევოლუცია! ჩქარა! ჩქარა! არ დახიო.

ჯეკ. შენი ნება იყოს. დაგიჯერებ. ამას კარგი შენახვა უნდა. (იხსნის ფეხსაცმელს და შიგ ინახავს ბარათს) კმაყოფილი ხარ?

ჯიმ. სახლში კი მე შევინახავ. ხომ იცი ჩვენი საიდუმლო ალაგი!

ჯეკ. კარგი! კარგი! წავიდეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათი მესამე

შეთქმულება

ფარდასთან, წინ სცენაზე დგას ექვსი ბოისკაუტი.

I სკაუტი. შენ დარწმუნებული ხარ რომ ისინი ამ სახლში არიან?

მე-II სკაუტი. მე მათ კვალდაკვალ ამ სადარაბაზო კარებამდის მოვყევი.

I სკაუტი. მერე, მათ შენ არ შეგამჩნიეს?

მე-II სკაუტი არა, მე გამვლელს უკან ვეფარებოდი.

I-სკაუტი. მერე რა შეამჩნიე?

მე-II სკაუტი: ეი, რა: ბიჭი და გოგოც ძალიან ჩქარობდენ.

მე-III სკაუტი. მერე?

მე-II სკაუტი. მოდიოდენ და მთელი გზა აქეთ-იქით იცქირებოდენ. გოგოს ველოსიპედი ჰქონდა.

მე-IV სკაუტი. ველოსიპედზე იჯდა?

მე-II სკაუტი. არა, ხელით მოჰქონდა.

I-სკაუტი. ბიჭი?

მე-II სკაუტი. ბიჭი მას შველოდა.

I სკაუტი. მერე?

მე-II სკაუტი. ბიჭი სახლში შევიდა, გოგო კი ველოსიპედით გარეთ დარჩა.

მე-III სკაუტი. ბიჭი ბევრი ხანი დარჩა იქ?

მე-II. ის ახლაც იქ არის.

მე-IV. გოგო?

მე-II. ხელს ნუ შემიშლით, დამაცალეთ, გიამბობთ ყველაფერს.

I სკაუტი. აბა, სთქვი, სთქვი.

მე-II. ხუთი წუთის შემდეგ სახლიდან გამოვიდენ მამაკაცი და დედაკაცი. მამაკაცს, რომელიც მუშას ჰგავდა, ხელით ველოსიპედი მოჰქონდა, დედაკაცი კი....

მე-III დედაკაცი!

მე-II. დედაკაცი კი ველოსიპედით იყო.

I-სკაუტი. მერე?

მე-II. მაშინ გოგომ, რომელიც ველოსიპედით იდგა, გააჩერა ისინი და უთხრა: „თქვენ ცუდ ამინდში გამოდიხართ“.

I-ლი. მერე?

მე II. მამაკაცმა უპასუხა: წვიმამ უკვე გადიღო. გოგომ კი სთქვა: მაგრამ ღრუბლები ჯერ არ იშლება. კაცმა კი უპასუხა: მზე ღრუბლებს შორის გამოიყურება.

მე პირველად ვერაფერი. გავიგე, მაგრამ როდესაც ამ ლაპარაკს შემდეგ გოგომ ქალს ველოსიპედი გადასცა, მე მიეხვდი...

I-ლი. რას მიხვდი?

მე-II. მივხვდი, რას ნიშნავდა ეს საუბარი ამინდზე, ღრუბლებზე, წვიმაზე და მზეზე.

მე-III. რას მიხვდი?

მე-II. იმას, რომ ეს სიტყვები არის პირობითი სიტყვები, რომლითაც ისინი ერთმანეთს სცნობენ.

I-ლი. შესაძლებელია ასეც იყოს. ყოჩაღი ხარ. ამისთვის შენ საპატიო ნიშანს მიიღებ. მერე?

მე-II. მერე დედაკაცმა გამოართვა გოგოს ველოსიპედი და გაჰყვა მამაკაცს.

მე-III. გოგო რაღა იქნა?

მე-II. გოგო კი დარჩა. ერთი ხუთი წუთი ისე იყო გაჩერებული და მერმე დაუსტვინა.

მე-IV. დაუსტვინა?

მე-II. ხო, ხო, დაუსტვინა.

I-ლი. მერე?

მე-II. პასუხად სახლიდან ვიღაცამ, ალბად ბიჭმა, გამოუსტვინა.

I-ლი. მერე?

მე-II. ახლაც ისევ სახლში არიან.

მეIII მერე, შენ ფიქრობ, რომ...

მე-II. არაფერს არ ვფიქრობ. მე ვიცი.

მე-IV. რა იცი?

მე-II. მე ვიცნობ გოგოსაც და ბიჭსაც. გოგოს ჯიმი ჰქვიან, ბიჭს კი ჯეკი. ორივენი ბავშთა კომუნისტური უჯრედის წევრნი არიან.

I-ლი. მაშინ ყველაფერი ნათელია!

მე-II. ნათელია ის, რაც ნათელია.

I-ლი. როგორია ახლა შენი გეგმა?

მე-II. ძალიან მარტივი: ადრე თუ გვიან ისინი ორივენი ერთად გამოვლენ.

I-ლი. რასაკვირველია.

მე-II. მე დავიხსომე.

I სკაუტი. მერე?

მე-II სკ. მე მივალ ბიჭთან, დაველაპარაკები მას, თქვენ კი ამ დროს ორივე დაიჭირეთ.

I-ელი სკაუტი. რისთვის?

მე-II სკ.- როგორ თუ რისთვის? უდაოა, რომ ისინი აქ მოვიდენ რაღაც დავალებით. მათ რაიმე საბუთები აღმოაჩნდებათ.

I სკ.- მერე შენ სკაუტის ტანსაცმელს სად მალავ?

II სკ. ნუ სწუხარ. აგერ (იგლეჯს თავიდან ქალმაესავით დიდ ქუდს, იხურავს კეპკას და წამოისხავს პლაშჩს, რომელიც აქამდის ხელზე ჰქონდა გადაკიდებული) მზად ვარ.

I სკაუტი. ყოჩაღ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-II სკაუტი. აბა, დაემზადეთ, ფეხის ხმა მესმის, მოდიან (სკაუტები იმალებიან. კულისებიდან გამოდის ჯიმ. იყურება იქით-აქეთ, მერე ხელით ანიშნებს და თან მოსდევს ჯეკ. მეორე სკაუტი ჯიმს გზას გადაულობავს)

მე-II სკაუტი. თქვენ ცუდ ამინდში გამოდიხართ.

ჯეკ. (გაკვირვებული უკან დაიხევს) რა?

II-სკაუტი. თქვენ ცუდ ამინდში გამოდიხართ.

ჯეკ. (ერთი მუშტის დაკვრით წააქცევს სკაუტს) გაიქეც, ჯიმ! (ჯიმ გაქცევას აპირებს, მაგრამ ვერ ასწრებს, რადგან დანარჩენი სკაუტები, გამოცვინდებიან და იჭერენ მას და ჯიმს).

ხმები. ჩაკმენდინეთ ხმა, ჩაუდეთ პირში რამე! რა მძლავრები არიან ეს ეშმაკის ფეხნი. ჰმ! ასე! წააქციეთ ორივე!

I სკაუტი. თქვენ გოგო გაჩხრიკეთ, თქვენ ორმა კი ბიჭი.

III სკაუტი. (სჩხრეკავენ ჯიმს) გოგოს, ეტყობა, არაფერი აქვს.

I სკაუტი. (ჯეკს) შენ, ჰეი, სთქვი, სად დამალე?

ჯეკ. რა?

I სკაუტი. რა ვიცი, რა; ალბად დამალული გექნება რამე.

ჯეკ. ტუტუცო!

I სკაუტი. ერთი უთაქეთ! აბა, ახლაც არ იტყვი?

ჯეკ. ჩერჩეტო.

მე-II სკაუტი. (წამოდგება) ფეხსაცმელი გაუჩხრიკეთ. მამაჩემი ჯაშუშია და მან მასწავლა, ჩხრეკა ყოველთვის ფეხიდან უნდა დაიწყოო. (სკაუტები ხდიან ფეხსაცმელებს ჯიმს და ჯეკს)

მე-III სკაუტი. გოგოს არაფერი აქვს.

მე-IV სკაუტი. (გახარებული) ბიჭს კი აქვს. აი, ბარათი.

I სკაუტი. რა სწერია შიგ?

მე-II-სკაუტი. მერე წავიკითხოთ, ახლა კი გაიქეცით. (სკაუტები გარბიან. პაუზა)

ჯეკ. რა საშინელებაა!

ჯიმ. ჯეკ, მე ვარ დამნაშავე. მე არ მოგეცი ნება ბარათის დახევისა.

ჯეკ. ვისი ბრალიც უნდა იყოს, ეს სულ ერთია, საქმე იმაშია, რომ ძალიან ცუდი ამბავი დატრიალდა. რა მოჰყვება ამას?

ჯიმ. ბარათში რა ეწერა!

ჯეკ. ყველაფერი! ისინი გაიგებენ, სად წავიდა გაღრი და დაიჭერენ მას. შენი სამი სტერლინგიც წაიღეს?

ჯიმ. არა. მე თმაში შევინახე ფული. თმის გაჩხრეკა კი მათ არ მოაგონდათ.

ჯეკ. ყოჩაღ. ახლა რა ვქნათ?

ფარდა

სურათი მეოთხე

პოლიციაში

სცენაზე სდგას მაგიდა ტელეფონით. მაგიდასთან სავარძელში ზის პოლიციელი, რომლის წინ სდგას მე-II სკაუტი.

პოლიციელი. აბა, ბალღო, მომეცი ბარათი.

მე-II სკაუტი. აი, ინებეთ.

პოლ. (კითხულობს) ჰმ! საქმე ცხადზე უცხადესია. დიდი ხნია რაც ის ვაჟბატონი სჩანს ... ვიდა?

მე- IIსკაუტი. ბიჭი?

პოლიციელი არა, მუშა თავისი ... ?

მე-II სკაუტი. ასე, ერთი საათი იქნება ...

პოლიციელი. ის ველოსიპედით არის. მანამ ... ნაში წავიდოდეს, ჯერ ალბად ქალაქში ტრიალებს. ასე. შენ თავისუფალი ხარ, ბალღო. (სკაუტი მიდის. პოლიციელი ზარს რეკავს. შემოდის აგენტი)

პოლიციელი. ეს ბარათი წაიკითხე.

აგენტი. (კითხულობს) მესმის.

პოლიციელი. ეს ძალიან მნიშნელოვანი საქმეა. ჩვენ თითქმის სავსებით ჩავაქვრეთ მოძრაობა ფოლადის ჩამომსხმელ ქარხანაში. თუ იმ ვაჟბატონმა მოასწრო ქარხანაში მისვლა, კვლავ დიდი გაფიცვა იფეთქებს.

აგენტი. ეს ცხადია.

პოლიციელი. თქვენი აზრით, რა გამოსავალია ამ მდგომარეობიდან?

აგენტი. ავტომობილით გადავუკრათ მათ გზა და....

პოლიციელი. მხოლოდ გახსოვდესთ, ერთი ადამიანიც არ შემოგაკვდესთ. საკმარისია მოჰკლა ერთი ამ კომუნისტთაგანი, რომ მუშებმა გაფიცვები და გამოსვლები დაიწყონ.

აგენტი. არა. ჩვენ მხოლოდ შევაჩერებთ მას.

პოლიციელი. ასე. დაახლოვებით ორ დღეს.

აგენტი. შეიძლება მეტი დროც.

პოლიციელი. მაგრამ ეს საიდუმლოდ უნდა მოხდეს, რომ არავინ არ მიხვდეს, რომ ეს პოლიციის საქმეა.

აგენტი. დამშვიდებული ბრძანდებოდეთ.

პოლიციელი. აბა, იმოქმედეთ.

აგენტი. გთხოვთ ტელეფონით ლაპარაკის ნება მომცეთ.

პოლიციელი. დარეკეთ.

აგენტი. ალლო, ალლო, მომეცით მეხუთე სექტორი. მეხუთე სექტორი? ბილ, თქვენ ხართ? წამოდით საუკეთესო მანქანით პირველი სექტო-

საქართველოს ... ტ ფ ი ლ ი ს ი ... ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის სამმართველოში. ჰო, ჰო, წამოიყვანეთ კიდევ ორი კაცი.... რევოლვერებით? ჰო, რევოლვერებით!

პოლიციელი. გახსოვთ, რა გითხარით? მკვლელობა არ იყოს.

აგენტი. დამშვიდებული ბრძანდებოდეთ. ეს ყოველი შემთხვევისათვის. რა არის? არა, ბილ, თქვენ არ გეუბნებით... ჰო, ორი კაცი რევოლვერებით და თოფით. ჰო... მოდიხართ? კეთილი. მაშ ყველაფერი მზად არის, ის ჩვენ ხელშია!

ფარდა.

სურათი მეხუთე.

სამი სტერლინგი.

სცენა წარმოადგენს ქუჩას, კუთხეში ღია ლუდის დუქანი.

დაზგასთან სდგას ჩასუქებული მედუქნე. სცენის უკან ხმაურობა ისმის.

შემოდის შოფერი და მიდის დაზგასთან.

შოფერი. ერთი ჭიქა ლუდი.

პატრონი. (ასხამს ლუდს) ინებეთ.

შოფერი. (სვამს) ერთი კიდევ.

პატრონი. (ასხამს) ინებეთ. რა საშინელი ამინდია, ჰა?

შოფერი. სწორედ ასეა. კოკისპირული წვიმაა!

პატრონი. ავტომობილი თქვენია თუ პატრონისათვის მუშაობთ.

შოფერი. ჩემია. რესტორანიდან და თეატრიდან დამყავს ხალხი.

პატრონი. ამისთანა ამინდი თქვენთვის ხელსაყრელია!

შოფერი. მართალი ხართ. დღეს უკვე ხუთმეტი გზობა მოვიარე.

პატრონი. ნიხრი გაქვთ?

შოფერი. ვინც ფხიზელია, იმათთვის კი მაქვს, ნასვამს კი...

პატრონი. აბა, თუ ცდილობთ, ნასვამი ჩაიგდოთ ხელში!

შოფერი. რასაკვირველია, სჯობს. ერთი ჭიქა კიდევ.

(პატრონი ორ ჭიქას ასხავს—თავისათვის და შოფერისათვის. აღღეგრძელებენ ერთმანეთს. შემოდიან ჯეკ და ჯიმ).

ჯეკ. ჯიმ, ეს უკანასკნელი გამოსავალია.

ჯიმ. მერე, მოვასწრებთ?

ჯეკ. თუ ეს შოფერი დათანხმდა, თხუთმეტ წუთში გზას გადავჭრით.

ჯიმ. შოფერი რომ არ წამოგვყვეს?

ჯეკ. ფულს რომ დაინახავს, წამოვა.

ჯიმ. მერე, ფული სად გვაქვს?

ჯეკ. აბა, უფულოდ როგორ აპირებ?

ჯიმ. კი, მარა ფული ვინ მოგვცა?

ჯეკ. შენ ხომ გაქვს სამი სტერლინგი!

ჯიმ. გვაქვს კი ნება მთელი ჯგუფის დაუკითხავად ეს ფული დავხარჯოთ?

ჯეკ. ამისთანა საქმეზე? ჭკუიდან ხომ არ შეიშალე, გოგო? არათუ ნება გვაქვს, მოვალენი ვართ.

ჯიმ. კარგი. მიდი, შოფერს მოელაპარაკე.

(ჯეკ მიდა შოფერთან და გამოსწევს მის პალტოს. შოფერი მობრუნდება, შეხედავს ჯეკს და ისევ მიბრუნდება. სვამს. ჯეკ მეორედ გამოსწევს შოფერის პალტოს. შოფერი კიდე შეხედავს, მაგრამ ხმას არ გასცემს. ჯეკ მესამედ დასწევს)

შოფერი. დამანებე თავი, ხურდა ფული არა მაქვს.

ჯეკ. მაშ მე მოგართმევთ სხვილ ფულს.

შოფერი. რაო, რაო?

ჯეკ. საქმე მაქვს.

შოფერი. შენ? ძუძუმწოვარს?

ჯეკ. ეს თქვენ არ გეხებათ.

შოფერი. საინტერესოა! აბა, ბრძანე..

ჯეკ. სჯობია ცოტა იქით წავიდეთ.

შოფერი. ოოო! კარგი!

(მიდიან კუთხეში)

ჯეკ. საჭიროა უკიდურესი სიჩქარით გავშორდეთ ქალაქს და გადავჭრათ გზა, რომელიც ფოლადის ჩამომსხმელ ქარხანასთან მიდის. ამას უნდა მოანდომოთ არა უმეტესი ოცი წუთისა.

შოფერი. შენ საქმის კაცივით ლაპარაკობ. ფული გაქვს?

ჯეკ. რამდენი გინდა?

შოფერი. სამი სტერლინგი.

ჯეკ. (აჩვენებს ფულს) აი.

შოფერი. მომეცი.

ჯეკ. დაიცა, ჯერ ნახევარს მოგცემ, დანარჩენს კი შემდეგ.

შოფერი. კარგი, მომეცი ნახევარი.

ჯეკ. (აძლევს ფულს) მაგრამ იქონიე მხედველობაში, რომ ჩემი და აქა რჩება...

ჯიმ. ჯეკ!

ჯეკ. ჰო, ჯიმ, აქ დარჩები, კარგა დაიხსომე ეს შოფერი და მისი ავტომობილის სახე და, თუ ვინიცობაა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოფერი. შენ საქმის ბიჭუნა ხარ. ნუ გეშინია, არ მოგატყუებთ. აბა, წავიდეთ.

(მიდიან. სცენის უკან ისმის, როგორ მართავენ მანქანას და შემდეგ წამავალი ავტომობილის ხმა).

ფ ა რ დ ა.

სურათი მეექვსე.

შეატყობინა.

სცენის უკენ ისმის ავტომობილის მოახლოვების და შემდეგ გაჩერების ხმა.

მეორე მხრიდან ისმის ველოსიპედის ზარის წკარუნი. ფარდა რომ იწევა, სცენაზე ბნელა.

მარცხნივ, კულისების უკან, მოჩანს ველოსიპედის ფარნის ვიწრო სხივი, გარრი მოდის ველოსიპედით და სცენაზე შემოვა და ჩამოხტება.

გარრი. ოხრებმა გზა გადამიჭრეს.

ჯეკ. ამხანაგო გარრი. დაიცადეთ.

გარრი. ეს რა არის? შენა ხარ, ბიჭუნი? ავტომობილით? რას დასეირნობ?

(ჯეკ. გამოდის კულისებიდან)

ჯეკ. ამხანაგო გარრი, უბედურება მოხდა, პოლიციელებმა, უეჭველია, უკვე იციან თქვენი გამგზავრების მიზანი, და ალბად მოგდევენ კიდეც.

გარრი. შენ ვინ გითხრა?

ჯეკ. ახლა დრო არ არის, დატოვეთ ველოსიპედი და აი იმ ბილიკზე გადაუხვიეთ.

გარრი. მერე სად მივალ?

ჯეკ. ეს ბილიკი პირდაპირ ქარხნის უკანა კარებთან მიგიყვანთ. ჯიბის ფარანი გაქვთ?

გარრი არა.

ჯეკ. აი, ჩემი წაიღეთ. ამ გზის ნაპირებზე ორმოები არის, ერიდეთ.

გარრი. შენ რაღას იზამ?

ჯეკ. მე ველოსიპედით გზაზე წავალ. ისინი მე დამედევნებიან.

გარრი. ხელში ჩაუვარდები.

ჯეკ. შესაძლებელია. მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს.

გარრი. მადლობელი ვარ, ბიჭუნა.

ჯეკ. მადლობის ღირსი არა ვარ, ყველაფერში მე ვარ დამნაშავე.

გარრი. დიახ, გეტყობა! მშვიდობით (მიდის)

ჯეკ. შოფერ!

შოფერი. აქა ვარ.

ჯეკ. ფულის მეორე ნახევარი მიიღეთ და ყური მიგდეთ.

შოფერი. (სთვლის ფულს) კიდე რა გინდა?

ჯეკ. თქვენ ცოტა ფული კი არ გამომართვით!

შოფერ. მართალი გითხრა, კი.

ჯეკ. აბა, ერთი ოცი წუთი კიდე უნდა გაჩერდეთ აქ.

შოფერ. რისთვის?

ჯეკ. ქალაქიდან აქეთ გამოივლის პოლიციელებით ავტომობილი. ჯერ ერთი, საჭიროა იმისი მოცდენა, მეორე...

შოფერი. მეორე?

ჯეკ. მეორე კი ის, რომ თქვენ შეგეკითხებიან, ხომ არ გინახავთ ველოსიპედით მიმავალი მუშა.

შოფერი. ეს, აი, იმის შესახებ, იქით რომ წავიდა? (აჩვენებს იქით, საითაც გარრი წავიდა).

ჯეკ. სწორედ იმაზე. და თქვენ იმათ ეტყვით...

შოფერი. რომ ის, აი, იქით წავიდა, არა? (უჩვენებს მეორე მხარეს).

ჯეკ. არა, თქვენ ეტყვით, რომ ის, აი, იქით წავიდა (უჩვენებს კულისებისაკენ).

შოფერი. ველოსიპედის კვალი რომ არ იქნება?

ჯეკ. კვალი იქნება.

შოფერი. როგორ?

ჯეკ. მე წავალ იქით ველოსიპედით.

შოფერი. კარგი მოსაზრებაა!

(ჯეკს მიაქვს ველოსიპედი და მიდის)

შოფერი. ბიჭუნი, ერთი წუთი მოითმინე.

ჯეკ. რაშია საქმე? მე ძალიან მეჩქარება.

შოფერი. შენ რალაც დაგავიწყდა.

ჯეკ. რა?

შოფერი. აი, ეს ფული. (იღებს ჯიბიდან ფულს და უთვლის ჯეკს) აქ სრული სამი სტერლინგია.

ჯეკ. (გამოართმევს ფულს, დააკვერდება შოფერს და გაუწოდებს ხელს) მადლობელი ვარ, ამხანაგო. (მიდის).

შოფერი. გზა მშვიდობისა, ამხანაგო.

(პაუზა, ცოტა ხნის შემდეგ ისმის ავტომობილის მოახლოვების ხმა და სცენის მოპირდაპირე მხრიდან გამოჩნდება მისი ორი ფარანი. ავტომობილი ჩერდება. კულისებიდან გამორბის პოლიციის აგენტი).

აგენტი. (შოფერს) რა ჭირად გადამეფეთე გზაზე?

შოფერი. ზრდილობიან ხალხთა შორის ასეთ მიგებებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

აგენტი. თქვენ გზა შეგვიკარით.

შოფერი. მანქანა გამიფუჭდა.

აგენტი. დიდი ხანია?

შოფერი. ასე, ოცი წუთი იქნება, რაც გაჩერებული ვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭარისტანი. ხულოს ბავშთა კომორგანიზაცია.

აგენტი. ააა! ველოსიპედით მიმავალი მუშა ხომ არ დაგინახავს?

შოფერი. ვნახე.

აგენტი. დიდი ხანია?

შოფერი. ესეც არის.

აგენტი. საით წავიდა?

შოფერი. აი, იქით (უჩვენებს იქით, საითაც ჯეკი წავიდა.

აგენტი. (ანთებს ჯიბის ფარანს და შინჯავს გზას) მართალია, კვალიც მოჩანს. აბა, მომაშორე შენი მანქანა!

შოფერი. დამეხმარეთ, მარტო ვერ შევძლებ.

აგენტი. (ყვირის კულისებისაკენ) ეი, ბიჭებო, მოდით ეს მანქანა დავძრათ ადგილიდან. კარგი ცნობებია, ახლა კი ვერ წაგვივა ხელიდან.

ფარდა.

სურათი მეშვიდე.

წერილი დასავლეთიდან.

(სცენაზე პირველი სურათის პიონერთა ჯგუფია. ერთი მათგანი ხმამაღლა კითხულობს წერილს. დანარჩენები ყურს უგდებენ).

წერილი. ძვირფასო ამხანაგებო! თქვენ მიერ გამოგზავნილი სამი სტერლინგი მივიღეთ.

ხმები. მაშ ფული მივიდა!
რასაკვირველია, მივიდოდა!

წერილი. თქვენი ფული ჩვენ ძალიან გამოგვადგა. საქმე იმაშია, რომ ერთმა ჩვენმა ამხანაგთაგანმა, სახელად ჯეკმა, დიდი დახმარება გაუწია პარტიას.

ხმები. ყოჩაღ!
პარტიას დახმარება!
ეს ჩვენებურად!

წერილი. მაგრამ ჯეკი, პარტიის მუშაკს რომ ჯაშუშებისაგან იფარავდა, თვითონ ჩაუვარდა პოლიციელებს ხელში.

ხმები. საცოდავი!
უიღბლო ყოფილა!
ცუდადაა მისი საქმე!

წერილი. და პოლიციამ იგი თითქმის მომაკვდავი გამოუშვა.

ხმები. ავაზაკნი!
ალბათ ტანჯავდენ;
აწამებდენ!
სცემდენ!

წერილი. ჯეკ ღარიბი ოჯახის შვილია და ძალიან გაუჭირდა.

ხმები. რასაკვირველია, ასე იქნებოდა!
დარწმუნებული ვარ!
უფასოდ კი არ უწამლებდენ!
მერე პიონერს!

წერილი. და თქვენი სამი სტერლინგი დაიხარჯა ჯეკის წამლობაზე.

ხმები. ეს კარგია!
გამოადგათ ფული!
დაეხმარა ბიჭუნას!

წერილი. ამის გამო ჩვენი ჯგუფი დიდ მადლობას გიძღვნისთ თქვენ.
მუშათა საქმისათვის საბრძოლველად იყავით მზად!

ხმები. მზად ვართ!
მზად ვართ!
მზად ვართ!

ფარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდოელების ბელადი.

ქალაქ ანტილოპაში დიდი მითქმა-მოთქმა იყო. მცხოვრებლები მიიჩქაროდენ ცირკისაკენ, რომელიც დღეს ჩამოვიდა და დღესვე გამოაცხადა პირველი წარმოდგენა. აფიშებზე გამოცხადებული იყვნენ მოცეკვავენი, მხედრები, მომღერლები, ეკვილიბრისტები და ჯამბაზები.

ქ. ანტილოპა ჩრდილო ამერიკის შტატში ტეხასში მდინარე ანტილოპას ნაპირას მდებარეობდა. სულ მცირე ხანი იყო, რაც ეს ქალაქი გაშენდა. თხუთმეტი წლის წინად ამ მდინარის ნაპირას არც ერთი სახლი არ მოიპოებოდა და ვერც ახლომახლო სოფლებში ვერც ერთ თეთრ ადამიანს ვერ ნახავდით.

იმ ადგილის მახლობლად, სადაც ახლა ქალაქი ანტილოპაა გადაჭიმული, მაშინ წითელკანიანი ინდოელების სოფელი ჰიავატა იყო. ჰიავატა ინდოელების შავი გველის გვარეულობის სატახტო ქალაქი იყო. გერმანელებმა ამ სოფლის ახლოს ახალშენი დაარსეს და გადასწყვიტეს ჰიავატას მოსპობა: ამბობდენ, ინდოელები ხელს გვიშლიანო.

ინდოელები კი იცავდენ თავის მიწაწყალს, სადაც ისინი დასაბამიდანვე ცხოვრობდენ. ტეხასის მთავრობამ სამუდამოდ იცნო მათი უფლება ამ მიწაწყალზე, მაგრამ მოახალშენე გერმანელები ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევდენ. ისინი ართმევდენ შავ გველებს მიწაწყალს, ჟლეტდენ უწყალოდ, სამაგიეროდ კი შეჰქონდათ კულტურა, რაც გამოიხატებოდა უმთავრესად იმაში, რომ არაყით ათრობდენ ინდოელებს. წითელკანიანები თავგანწირვით იბრძოდენ, აცლიდენ თავიდან სკალპებს თეთრებს და მათ შორის დიდხანს სწარმოებდა უთანასწორო ბრძოლა.

ბოლოს, ერთ ღამეს ყველა გერმანელი მოახალშენენი შეერთდენ, შეაგროვეს 400-მდე მეომარი და თავს დაესხენ მძინარე ჰიავატელებს. სრული გამარჯვება დარჩათ მათ ინდოელები ყველა, სქესისა და ასაკის განურჩევლად, ამოსწყვიტეს, შენობები დასწვეს და მხოლოდ პატარა რაზმები გადარჩენ, ისინი, რომლებიც ამ ღამეს სანადიროდ წასულიყვნენ. ჰიავატა აღიგავა დედამიწის ზურგიდან. მოახალშენეებს შეეძლოთ დამშვიდებით ეცხოვრათ და თავისი კულტურით ეამაყნათ.

გერმანელები გადასახლდენ იმ ადგილას, სადაც ჰიავატა იყო და ჰიავატას ადგილას ახალი ქალაქი — ანტილოპა გადაიჭიმა. ხუთი წლის შემდეგ ქალაქში უკვე ორიათასზე მეტი მცხოვრები იყო.

მდინარის ნაპირზე ძვირფასი მადანი აღმოჩნდა და მცხოვრებთა რიცხვმა ერთი ორად იმატა.

ანტილოპას დაარსებიდან ექვსი წლის შემდეგ ქალაქის მიდამოებში დაიჭირეს შავი გველის გვარიდან გადარჩენილი უკანასკნელი ცხრამეტი კაცი და ლინჩის კანონის მიხედვით ჩამოახრჩვეს ქალაქის მოედანზე. მას შემდეგ აღარაფერი არ უშლიდა ხელს ქალაქის აყვავებას.

ქალაქი იზრდებოდა და ვითარდებოდა: დაარსდა ორი ყოველდღიური გაზეთი, გაიყვანეს რკინის გზა, რომელიც ანტილოპას შეერთებული შტატების სხვა ქალაქებთან აერთებდა; უმთავრეს ქუჩაზე სამი სასწავლებელი აიგეს. ერთი ამბრგანი უმაღლეს სწავლას ანიჭებდა ახალგაზრდობას; იმ მოედანზე, სადაც ცოცხლად გადარჩენილი შავი გველის გვარის უკანასკნელი წითელკანიანები ჩამოახრჩვეს, ააშენეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დიდი ზეიმით დაარსეს საქველმოქმედო დაწესებულება.

ყოველ კვირას ეკლესიებში მღვდლები ქადაგობდენ კაცთმოყვარეობას, სხვისი საკუთრების ხელშეუხებლობას და სხვა ბევრ კარგ რამეს, ურომლისოდაც განათლებულ საზოგადოებაში ცხოვრება შეუძლებელია, და „ერის უფლებების შესახებ“ ხომ ლექციებსაც კითხულობდენ.

გერმანელები განცხრომით ცხოვრობდენ; ჰყიდდენ ძვირფას მადანს ფორთოხალს, ქერს, ღვინოს. ვაჭრობას დიდი მოგება მოჰქონდა და ახლა ამ ჩასუქებულ ვაჭრებს რომ შეხედავდით, არც-კი დაიჯერებდით, რომ ესენი იყვნენ ის მეომარნი, რომელთაც ოდესღაც ჰიავატა მოსპეს და მცხოვრებლები ისე შეუბრალებლად ამოჟლიტეს; იმათი ჩასუქებული სახეები დამშვიდებით გამოიყურებოდენ.

არავის აგონდებოდა შავი გველები, რომლებიც დიდიხანი არ იყო მას შემდეგ, რაც ამ ადგილებში ესახლენ.

მთელი ქალაქი მიეშურებოდა ცირკისაკენ. აფიშებზე ერთი განცხადება იყო, რომელიც ყველაზე უფრო იზიდავდა მცხოვრებთ. პროგრამაში ეწერა:

№ 2

ცნობილი გიმნასტის

შავი ქორის—სახემის[1]),

შავი გველის

საშინელ მეომართა უკანასკნელი შთამომავლის,

უკანასკნელი ბელადის,

გვარის უკანასკნელი წარმომადგენლის

15-ადლიან მავთულზე გამოსვლა.

შესრულებული იქნება:

1 გასეირნება და

2. გახტომა ანტილოპადან.

3. ცეკვა, ომისა და სიკვდილის სიმღერა.

სხვა ქალაქში შავი ქორი ისეთ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა და მისი სახელი ისეთ ინტერესს ვერ გამოიწვევდა, მაგრამ ანტილოპასთვის დიდად საინტერესო იყო. ინტერესს უფრო აცხოველებდა ის, რომ ცირკის პატრონმა უკვე მოასწრო და გამოაქვეყნა ადგილობრივ გაზეთში, როგორ შეხვდა ის ამ 15 წლის წინად მთებში მოხუც ინდოელს, რომელსაც თან ათი წლის ბავში ახლდა. მოხუცი მოკვდა ჭრილობებისა და შიმშილისაგან. სიკვდილის წინ მოხუცმა გამოამჟღავნა, რომ ბავში შვილია ინდოელების ბელადის, რომელიც თეთრებთან ბრძოლაში მოჰკლეს და მემკვიდრეა და უფლება აქვს გახდეს სახემი. ცირკის დასმა შეიტყო და გამოზარდა ბავში, რომელიც შეუდარებელი და მკვირცხლი გიმნასტი გახდაო.

თვითონ ცირკის პატრონმა მხოლოდ ესეც იყო შეიტყო, რომ ანტილოპა ოდესღაც ჰიავატა იყო და რომ შავი ქორი გამოვა სავარჯიშოდ სწორედ თავის წინაპართა საფლავებზე. ამ ამბავმა გაახარა და დაარწმუნა ცირკის პატრონი, რომ დიდ შემოსავალს გააკეთებს, მხოლოდ ისეთი რამ უნდა გამოიგონოს, რომ შთაბეჭდილება მოახდინოს მაყურებლებზე.

ანტილოპას უამრავი მცხოვრებნი ხმაურობით იკრიბებოდენ ცირკში, ამაყობდენ იმით, რომ თავისი ცოლებისა და შვილებისათვის, რომლებიც გერმანიიდან მოიყვანეს და რომელთაც არასოდეს არ ენახათ წითელკანიანები, შეეძლოთ ეჩვენებინათ შავი გველების უკანასკნელი შთამომავალი და კმაყოფილებით ეთქვათ:

— შეხედეთ, აბ, ეს იმ საშინელი ხალხის შვილთაგანია, რომელიც ჩვენ ამ 15 წლის წინად ძირიანბუდიანა ამოვაგდეთო.

გერმანელი ქალების სახეები განცვიფრებასა და შიშს გამოსთქვამდენ.

და მთელ ქალაქში ისმოდა: „სახემ! სახემ! სახემ!

საღამოს რვა საათია. მშვენიერი, წყნარი, ვარსკვლავებიანი ღამეა. ნიავს მოაქვს ქალაქში ფორთოხალის ტყეების სურნელება და მისი სუნი უერთდება ქერის სუნს.

ცირკი გაჩაღებულია; მთავარ შესასვლელში ანთია კუპრიანი ჟინჟღილები, კარებთან შეჯგუფებუ-

[1]) სახემ ინდოელთა ენაზე ბელადს ნიშნავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ხალხი ღელავს. შიგნით ცირკი სავსეა. ადგილებს შუა გასასვლელების იატაკები იდრიკება მაყურებლების ფეხ ქვეშ, არსად არც ერთი თავისუფალი ადგილი არ მოიპოვება,

ცირკი განათებულია. სინათლის სხივები აშუქებს მელოტ თავებს, ანათებს ჩასუქებულ ვაჭრებს, ახალგაზრდა ქალების სახეებს და პატარა გაკვირვებულ ბავშებს.

ყველანი მოუთმენლად ელოდებიან დასაწყისს.

ბოლოს, როგორც იყო, გაისმა ზარი: გამოჩნდა ექვსი მეჯინიბე და გამწკრივდა ასპარეზის მოაჯირთან.

კიდევ ზარი და ასპარეზზე გამოხტა უაღვირო და შეუკაზმავი ცხენი და ცხენის ზურგზე—დოლბანდისა და ლენტების ღრუბლებში – ცნობილი მოჯირითე ქალი ლინა.

დაიწყო ხტომა და ვარჯიში: ცხენი ლამაზად დარბის, შოლტებს ატყლაშუნებენ, ჯამბაზები წივიან და უტყაპუნებენ ერთმანეთს სახეზე. კიდევ რამოდენიმე მიმოხვრა და ლინა მიიმალა ელვასავით. ტაშის გრიალმა გააცილა ის. პროგრამის პირველი ნაწილი ჩქარა გათავდა.

დაიწყო მეორე ნომერი. ყველას პირზე აკერია სიტყვა „სახემ". მაყურებლები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ჯამბაზებს.

მეჯინიბეებმა მოიტანეს მაღალი სვეტები, დაამაგრეს ასპარეზის ორივე მხარეს და ზედ მავთული გასჭიმეს.

უცებ მთელ ასპარეზზე იფეთქა ბენგალის ცეცხლმა და ყველაფერი ირგვლივ სისხლის ფერი სინათლით შეიღება. და, აი, ამგვარ სინათლეში უნდა გამოჩნდეს საშიშარი „სახემ", „შავი გველების" უკანასკნელი შთამომავალი.

სწორედ ამ დროს გამოვიდა ცირკის დირექტორი და შემდეგი სიტყვებით მიმართა მაყურებლებს:

— ქალბატონებო და ბატონებო! წრფელი გულით მოგესალმებით ყველას,—აქ შეკრებილთ. ამას გარდა გულითადი თხოვნაა ჩემი, პატივცემულო ბატონებო და მშვენიერო ქალბატონებო, რომ წარმოდგენის დროს სრული სიწყნარე დაიცვათ, ადგილები არ გამოიცვალოთ, რადგანაც სახემ დღეს საღამოს გაბრაზებულია და კვლავინდელზე უფრო საშიშარია.

როდესაც ლინა ხტოდა ცხენის ზურგზე, ანტილოპას მოქალაქენი ერთობ ბედნიერად გრძნობდენ თავს, რომ პირველ რიგში ისხდენ, საიდანაც ისე კარგად სჩანდა ყველაფერი.

ახლა კი შურით იცქირებოდენ ზევითა რიგებისაკენ და ფიქრობდენ, რომ ქვევით გვარიანად ცხელოდა.

შესაძლებელია კი, რომ ახსოვდეს სახემს? ის ბავშობიდანვე ცირკში ცხოვრობს და ცირკში მსახიობები ხომ ყველანი რიგიანები არიან. ნუთუ ჯერ

კიდევ არ დავიწყებია ყველაფერი? არა, ეს შეუძლებელია! საზოგადოება, სადაც იზრდებოდა ამდენი ხნის განმავლობაში, ცირკის ასპარეზზე მოღვაწეობა, თამაში, ტაში,—ყველა ამას უთუოდ დიდი და კეთილი გავლენა უნდა ჰქონოდა ინდოელის ველურ ხასიათზე...

ჰიავატა, ჰიავატა! მაგრამ ისინიც ხომ ადამიანებია. გერმანელებიც ხომ არ არიან თავის ქვეყანაში, უცხოეთში ცხოვრობენ, მაგრამ ისინი ყოველთვის ფიქრობენ თავის სამშობლოზე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, რასაკვირველია, ვაჭრობის საქმეებში გართული ადამიანებისთვის და უკანასკნელ „შავ გველსაც" უნდა ახსოვდეს, და შეიძლება ახსოვდეს კიდევაც, თავისი სამშობლო და სახემ...

ნუთუ აღარ ახსოვს თავისი ჰიავატა, დაავიწყდა მშობლიური კერა, ტყეები და მინდვრები? მისი წინაპრები ხომ ამ მიწაწყლის პატრონები იყვნენ. ცხოვრობდენ აქ ბევრი საუკუნის განმავლობაში... ახსოვს თუ არა, ნეტავი? თვითონ მაყურებლებს კი აქვთ უფლება, რომ დაეპატრონონ ანტილოპას?...

უცებ ველური სტვენა გაისმა საჯინიბოდან და ერთბაშად შესწყვიტა ყველა მითქმა-მოთქმა.

სტვენის შემდეგ ჩქარა თვითონ სახემიც გამოცხადდა ასპარეზზე. ხალხში გაისმა ჩურჩული: ის არის, ის არის...

საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა, ისმოდა მხოლოდ ბენგალის ცეცხლის მსუბუქი ტკაცანი, რომელიც ისევ აანთეს ასპარეზის შემოსავალში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათასი თვალი დააშტერდა ბელადს, რომელიც გამოვიდა ცირკში თავისი წინაპრების საფლავებზე სათამაშოდ..

ინდოელი მართლაც მოსაწონი სანახავი იყო: ამაყი, მაღალი, ტანადი; თეთრი ყარყუმის მოსასხამი ესხა მას ვეფხვივით მოქნილ ახოვან ტანზე.

მისი ამაყი სახე თითქოს ბრინჯაოსაგან იყო გამოკვეთილი და არწივს მოგაგონებდათ. გამომეტყველება ინდოელების ჰქონდა: დამშვიდებული, ცივი, მკაცრი. სახემი გაჩერდა ასპარეზის შუაადგილას და ყურადღებით დაუწყო ხალხს თვალიერება, თითქოს თავისი მსხვერპლის ამოღება უნდა ნიშანშიო.

თავიდან ფეხამდე შეიარაღებულს, თავზე ფრინველის ფრთები უფრიალებდა. ქამარში „ტომაგავკ“ [1]) და სკალპის დანა ჰქონდა გარჭობილი.

მხოლოდ მარჯვენა ხელში შვილდ-ისრის მაგიერ გრძელი მოქნილი ჭოლოკი ეჭირა, მავთულზე სიარულის დროს რომ წონასწორობა შეენარჩუნებია.

სახემმა გააკეთა ორი უზარმაზარი ნახტომი და დაჰკივლა ინდოელების სამხედრო შესატევარი ძახილი.

— ეს ხომ შავი გველების სამხედრო შესატევარი კივილია, — გაისმა ცირკში.

იმათ, ვინც არც ისე დიდი ხანია, რაც ლამით თავს დაეცენ მძინარე ჰიავატას და მხეცურად დასჭრეს ყელები ყველას, მაშინვე გაახსენდათ საშინელი კივილი და, საკვირველია, ამ ხალხს, რომელსაც ამ 15 წლის წინ არ შეეშინდა ათასი ამისთანა მეომრის, ახლა შიშის ოფლმა დაასხა შუბლზე...

[1]) ინდოელთა იარაღი, ცულის მსგავსი.

მაგრამ ცირკის დირექტორი მიუსვენარი ბელადს დოელს და დაამშვიდა. სახემ მივიდა მავთულთან. თვალები გაჩაღებულ ნავთის ლიუსტას მიაპყრო, შედგა მავთულზე და გაიარა. მავთული იზნიქებოდა, ხანდახან უჩინარი ხდებოდა... მაშინ სახემი ჰაერში ჩამოკიდებული გეგონებოდათ: შემდეგ ავიდა მაღლა და დაეშვა ძირს, მაგრამ წონასწორობას არ ჰკარგავდა. მისი წინ გაწვდილი ხელები სამეფო მოსამსხამს ქვეშიდან არწივის შავ ფრთებს მოგაგონებდათ.

ბარბაცებს... ჩამოვარდა! არა! გაისმის კანტისუნტად ტაშისცემა და ჩქარა ისევ წყნარდება. ბელადის სახე უფრო და უფრო საშიშარ შესახედაობას ღებულობს. ლიუსტრისაკენ მიშტერებული თვალები საშიშარი ცეცხლით ინთება...

ცირკში ყველა რაღაც მოუსვენრობას განიცდის, მაგრამ ჩუმად არიან. ინდოელი კი უახლოვდება მავთულის ბოლოს; მაგრამ სანამ ბოლომდის მივიდოდა, გაჩერდა და ომის სიმღერა დაიწყო. უცნაურია. ბელადი გერმანულად მღეროდა. ყველანი გაფაციცებით უგდებდენ ყურს ამ სიმღერას, სიმღერას, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა და მაღალი ხდებიდა.

ბელადის სიმღერა მოწოდება იყო ველური, მხეცური სულისკვეთებით სავსე. სიმღერაში კი ისმოდა სიტყვები:

„ყოველ წელიწადს, დიდი წვიმების შემდეგ, 500 მეომარი სტოვებდა ჰიავატას და გამოდიოდა ომებისა და დიდი ნადირობის ბილიკებზე; ომიდან დაბრუნებულ მეომარს ამშვენებდა სკალპები, ნადირობიდან დაბრუნებულებს კი მოჰქონდათ შინ ბიზონების ხორცი და ტყავები და ცოლები სიხარულით ეგებებოდენ მათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰიავატა ბედნიერი იყო. დედაკაცები შრომობდენ თავის ვიგვამებში. ბავშები იზრდებოდენ და გამოდიოდენ ულიშარი, გულადი, ვაჟკაცი მეომრები და გოგონები კი—მშვენიერი ქალები. შავი გველები კვდებოდენ დიდების სარბიელზე, არასოდეს იმათი ტომაგავკი არ შეღებილა ქალებისა და ბავშების სისხლით, რადგანაც ჰიავატელი მეომრები სულით მაღალი ხალხი იყო.

ჰიავატა დიდებული და ძლიერი იყო. მაგრამ შორეული ზღვების გაღმიდან მოვიდა პირმკრთალი

ხალხი და ჰიავატა ცეცხლს მისცა. თეთრმა მეომრებმა არ გამოიწვიეს შავი გველები ვაჟკაცურ ბრძოლაში, ისინი ქურდულად, ტურებივით თავს დაესხნენ ღამე ჰიავატას. ფერმკრთალმა ძაღლებმა მძინარე მამაკაცებს, ქალებსა და ბავშებს ჩასცეს გულში თავისი დანები.

ახლა აღარ არის ჰიავატა. ჰიავატას ადგილას თეთრებმა ააგეს თავისთვის ქვის ვიგვამები. შავი გველის ამოწყვეტილი გვარი და ჰიავატას ნანგრევები ღაღადებდენ შურისძიებას".

სახემს ხმა ჩაეხლიჩა... მავთულზე წონასწორობის ბარბაცით სიარულში, მაღლა, მაყურებლების თავებს ზემოდან, სახემი გაბრაზებულ, გაცოფებულ ვეფხს მიემსგავსებოდა. ცირკში სამარისებური სიჩუმე სუფევდა.

ბელადი განაგრძობდა სიმღერას:

„მთელი გვარისაგან აღარავინ დარჩა, გარდა ერთი ბავშისა. ბავში სუსტი და პატარა იყო, მაგრამ მაშინ მაინც დასდო ფიცი დიდებული მიწის სულის წინაშე, რომ ის შურს იძიებს. მან ფიცი დასდო, რომ ის ნახავს თეთრი მამაკაცების, დედაკაცების და ბავშების მკვდარ გვამებს, რომ ის აანთებს უშველებელ კოცონს და დააქცევს თეთრების სისხლს".

ბელადის უკანასკნელი სიტყვები პირდაპირ მხეცის ღრიალი იყო.

ცირკში დრტვინვა გაისმა. ათასი გაუბედავი კითხვა უპასუხოდ რჩებოდა მაყურებლების თვალში.

— რას გვიზამს ეს ცოფიანი ვეფხვი, რა მოგველის? როგორ განახორციელებს მარტო თავის საშინელ შურისძიებას? არ სჯობია, რომ გავიქცეთ?

— რაო? რაო?—ისმოდა ყოველი მხრიდან ქალების შეშინებული ხმები.

უცებ სახემის მკერდიდან ველური კივილი აღმოხდა. მავთულზე ძალზე გაქანდა ინდოელი, გადახტა ლიუსტრის ქვეშ და დაიწყო ჭოლოკის ქნევა.

საშინელმა აზრმა გაუელვა ყველას თავში.

— ლიუსტრის გატეხას აპირებს, უნდა ცირკს ნავთი გადაასხას...

საშინელმა წივილ-კივილმა და სასოწარკვეთილებამ მოიცვა ცირკი, ყველა წამოცვინდა და ეცა გასავალისაკენ.

ასპარეზიდან გაისმა ყვირილი: „შეჩერდით, შეჩერდით". ბელადი გადმოხტა მიწაზე და მიიმალა გასასვლელ კარებში.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ გამოვიდა დაქანცული და დასუსტებული.

ხელში თითბრის პატარა ხონჩა ეჭირა. მან გაუწოდა მაყურებლებს და ჩურჩულებდა „უბოძეთ უკანასკნელ შავ გველს."

ოქროსა და ვერცხლის ფულები ცვიოდა ხონჩაზე. განა შეიძლებოდა უარი ეთქვათ მოწყალებაზე უკანასკნელი შავი გველისათვის ანტილოპას მცხოვრებთ, რომელთაც თავისი ქალაქი ანტილოპა ჰიავატის ნანგრევებზე ააშენეს?

ცივილიზაციამ გადააგვარა შავი გველების უკანასკნელი წარმომადგენელი: ის აღარ გრძნობდა თავის წინაპართა მოწოდებას.

ამ მოთხრობაში პოლონელი მწერალი ჰ. სენკევიჩი ცოცხლად აგვიწერს, თუ როგორ ხდებოდა ჩრდილო-ამერიკის დაპყრობა ევროპელი კოლონისტების მიერ, როგორ უსირცხვილოდ ართმევდენ ამე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიკის მკვიდრ მცხოვრებთ, ინდოელებს, მათ მიწაწყალს და როგორ შეუბრალებლად ჟლეტდენ იმათ.

კაპიტალისტური წესწყობილება სპობდა ყველაფერს, რაც ეღობებოდა მას წინ და ხელს უშლიდა მის განვითარებას, და მონებად აქცევდა ინდოელებს. ეს ოდესღაც დიდი ხალხი, რომელსაც ეჭირა და ფლობდა ანტანტის ოკეანედან დიდი ოკეანის ნაპირებამდის გადაჭიმულ მიწაწყალს, ახლა ცხოვრობს პატარა ნაჭერ მიწაზე, რომელიც მიუჩინა მას საცხოვრებლად ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ. წაართვა ყველაფერი და აძლევს ისე ცოტას, რომ შიმშილით არ დაიხოცონ.

სამაგიეროდ, ინდოელების პატარა სოფლების მაგიერ, ახლა გადაჭიმულია აუარებელი და მშვენიერი ქალაქები ქარხანა-ფაბრიკებით, ქალაქები, რომლებიც აგებულია გაჟლეტილი ინდოელების ხელსა და ძვლებზე. ოდესღაც დიდი ხალხის—ჩრდილო ამერიკის ინდოელებისაგან ახლა ცოცხალია მხოლოდ 240,000 სული. თანდათან მცირდება მათი რიცხვი. ჯერ კიდევ ამ 10 წლის წინ 320,000 კაცი ითვლებოდა. ამასთან იმათ არავითარი მოქალაქეობრივი უფლებები არა აქვთ მინიჭებული: ამერიკაში ზანგის და ინდოელის მოკვლა დანაშაულად არ ითვლება და ამერიკელი იმათი მკვლელობისათვის არავითარ სასჯელს არ იხდის.

ტყუილად კი არ არის ლენინიზმის პროგრამის ერთ პუნქტში ნათქვამი კოლონიალური მონების განთავისუფლება კაპიტალის კლანჭებისაგან, ან იმათგან, ვინც ასე უწყალოდ ანადგურებს მათ და ექსპლოატაციას ეწევა.

ლენინი და ქუჩის გავშეგი.

ქალაქში ცივა.
დათოვილან სახურავები.
ქალაქში ცივა.
გაყინული სდუმს ქვაფენილი.
კვამლში და თოვლში
ჩამალულან ბუხრის თავები,
და შორით მოსჩანს
მთა, თოვლებით გადაფენილი.

ირგვლივ სიჩუმე,
ყინულეთი, ქარი და ბუქი.
ო, სიმარტოვე,
ცივი ქუჩა, ცივი კედელი.
სიცივისაგან
ზურგს იფარავს დარაჯი ქურქით,
შეენატრება გათენებას
გულმოწყვეტილი.

ხანგამოშვებით
თუ ჩაირბენს ეტლი გვიანი,
ხელში ალვირი
მიუზიდავს ხელთათმანებით;
პატარა ბავში
სდგას კუთხეში ტანთოვლიანი,
შესაქერის სახლებს
აცრემლებულ სუფთა თვალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მიდის ღამე.
მოედანზე შავი ნისლია.
სისინებს ქარი
გაყინული, დაუნდობელი.
მოქალაქენო!
ნუთუ არვის გაგიგონიათ,
აგერ, სიცივით
აქვითინდა ბავში ობოლი!

ვინ გაგიგონებს,
ვინ გაგიგებს, ბავშო?— არავინ!
თქვენ, პაწაწებო,
არ შეგხედავს ხალხი არასდროს.
ასე რამდენი
უბინაო, შეუფარავი,
ულმობელ ღამეს
შთაუნთქია და უმსხვერპლია.
ცახცახებს ქუჩა.
ციდან თოვლი ჩამოითესა.
ისევ სიჩუმე.
და მშველელი არ სჩანს არავინ ..
ბნელ კუთხეებში
გაისმება ხანდახან კვნესა ..
კვნესა ტკივილის,
უმწეობის, გულშეზარავი.

ყველგან ძილია...
ან ღამეებს აქ ვინ გაათევს?
აქ ხომ თოვლია
საბანივით გადაფენილი...
ფანჯრებში ბნელა...
მაგრამ ერთგან შუქი ანათებს.
ო, მას არ სძინავს...
კვლავ უდრეკად ფიქრობს ლენინი.

მისი თვალები
ანთებული ელვას კვესავენ.
იმისი სახე
დაღვრემილა მძიმე ვარამით.

ო, ლენინს ესმის ქუჩებიდან
ბავშების კვნესა...
კვნესა მშიერის,
კვნესა მწარე და შემზარავი.

უმწეო მოდგმას ვინ უშველის,
ვინ გადაარჩენს?
ვინ წაუძღვება სიბნელეში
ნათელ ლამპარით?
და უცებ სახე უბრწყინდება,
ღიმილს ნაჩვევი...
იშლება ფიქრი:
ყველა ბავშებს თავშესაფარი.
დე, სიხარულში იზრდებოდეს
ნორჩი თაობა,
თორემ პაწაწებს
ანადგურებს ქუჩა მტარვალი..
ბავშებმაც ნახონ
ეს ქვეყანა, სანახაობა,
რომ თვისი ხელით
გამოსჭედონ მათ მომავალი.
ლენინის სიტყვამ
გამოსტაცა ქუჩას ბავშები
და წლებს გადაჰყვა
წარსულ დღეთა მწარე ტკივილი,
ვარდისფერ დროშას ჩაეჭიდენ
მათი ხელები
და აღტაცებით მიჰყვებიან
ბრძოლის წყურვილით...
ვერ დაივიწყებს ეს თაობა
ტანჯვის საათებს,
გუშინ რომ იყო
ქუჩის ბავში
ჩამოლვრემილი.
მზის ნათელივით
მის ხსოვნაში მუდამ ანათებს
თავდადებული დიდი მამა,
დიდი ლენინი.

გ. სიოშვილი



მუშაობა უპატრონო ბავშვთა შორის.

ს. ს. რ. კ ის თითქმის ყოველ ქალაქში და სოფელში შეხვდებით უპატრონო, ქუჩის ბავშთა ჯგუფებს. ამ უპატრონო ბავშებზე მზრუნველობას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დღეს საბჭოთა ხელისუფლება.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბევრს კიდევ არ აქვს გათვალისწინებული, თუ რა არის ამ ბავშების ასეთ პირობებში ჩაყენების მიზეზები და რა გზით შეიძლება მათი ცხოვრების გაუმჯობესება.

მსოფლიო და სამოქალაქო ომებმა გაანადგურა ჩვენი რესპუბლიკების სამეურნეო და სამრეწველო

ცხოვრება. ამ ნიადაგზე ჩვენი რესპუბლიკების თითქმის ყოველ კუთხეში ბევრი გლეხი და მუშა იძულებული ხდებოდა მიეტოვებია თავისი სახლკარი და სამუშაოს საძებნად წასულიყო რესპუბლიკის ცენტრალურ ქალაქებში; ხშირად შვილები ცილდებოდენ მშობლებს, ბევრს დაეხოცა მშობლები სხვადასხვა ავადმყოფობით, და ძალაუნებურად დარჩენ ქუჩაში უპატრონოდ. ასეთი ბატარა „მაწანწალები“ იძულებული ხდებოდენ, რომ თავისი საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე თვითონვე ეზრუნათ. ლუკმაპურის შოვნის ერთ უმთავრეს წყაროს მათთვის მათხოვრობა შეადგენდა, მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი მოქალაქენი ხშირად უხეშად ეპყრობოდენ ამ ბავშვებს, რის გამოც მათში ვითარდებოდა უნდობლობა და სიძულვილი ყველასადმი. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ ისინი იწყებდენ ქურდობას და ვინ იცის რა გზას არ ადგებოდენ...

უმთავრესად ეს უპატრონო ბავშვები ცხოვრობენ რამოდენიმე ერთად, ირჩევენ „ბელადს“.

ვინ არის მათი „ბელადი“?

მათი „ბელადი“ გამოცდილი და დახელოვნებული ქურდია. იგი მათ ასწავლის, თუ როგორ უნდა მოიპარონ, როგორ გასტეხონ დაკეტილი და სხვ. და ბოლოს ამით რესპუბლიკა იძენს დახელოვნებულ ქურდებს და რეციდივისტებს.

არსებობს უპატრონო, ქუჩის ბავშთა გაჩენის მეორე მიზეზიც: არის შემთხვევები, როდესაც ბავშს დედ-მამა ჰყავს, უფროსი ძმებიც, დებიც, მაგრამ მას არ აქვს სათანადო მზრუნველობა.

ხშირია შემთხვევა, როცა ასეთი ბავშის მშობლები მთელ დღეებს სამუშაოზე აღამებენ და ბავში კი რჩება უფროსის ზედამხედველობის გარეშე. ფაქტიურად ასეთი ბავშებიც უპატრონო ბავშების რიცხვს ეკუთვნიან. ეს არის მეორე კატეგორია უპატრონო ბავშებისა. როდესაც ასეთი ბავშები მთელი დღის განმავლობაში უუფროსოდ, ეხელმძღვანელოდ იმყოფებიან, ისინი გართობის ძებნის დროს ქუჩაში პირველი კატეგორიის ბავშებს უახლოვდებიან და ისე მჭიდროდ უკავშირდებიან, რომ მათი ერთი-მეორეში გარჩევა შეუძლებელი ხდება. ისინი პირველ ხანებში თავის სახლს შორს არა სცილდებიან და იქვე ეზოში ან ქუჩაში მართავენ სხვადასხვა თამაშს. ეს თამაშობანი უმრავლეს შემთხვევაში არ არის აღმზრდელობითი ხასიათის და მას დიდი ზიანიც მოაქვს ბავშის როგორც ფიზიკური ჯანმრთელობის, აგრეთვე მისი გონებრივი განვითარებისათვისაც.

ასე უპატრონოდ დარჩენილი ბავში პირველ ხანებში ქუჩაში ეძებს გასართობს და მას თამაშობაში პოულობს კიდეც.

პიონერულ ორგანიზაციებს ხომ აქვს [illegible] რიგი ისეთი თამაშობისა, რომელიც [illegible] გამოსადეგია ბავშებისათვის? ამიტომ, ჩვენი აზრით, ძნელი არ იქნება ასეთი ბავშების ჩაბმა ორგანიზაციაში.

ვთქვათ, უპატრონო ბავშებმა თავი მოიყარეს რომელიმე ეზოში სათამაშოდ; მაშინ ამ თამაშობაში ერევიან ამავე ან მეზობელ ეზოში მცხოვრები პიონერები და ცდილობენ, რომ ბავშების ყურადღება მიიქციონ და თამაშობა ისეთი ხასიათ წაიყვანონ, რომ ყველანი დაინტერესონ.

ასეთ შემთხვევაში პიონერებს დიდი სიფრთხილე სჭირდებათ ბავშებში ავტორიტეტის მოსაპოებლად. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უპატრონო ბავშები, როგორც ზევით გვქონდა აღნიშნული, უნდობლობის თვალით უცქერიან ყველას, და თუ პიონერებმა აქ მედიდურობა, ცხვირის მაღლა აწევა დაიწყეს და ან თავიდანვე პირველობა მოინდომეს, მაშინ ისინი თავის მიზანს ვეღარ მიაღწევენ, ყველა უპატრონო ბავშები მიეფანტ-მოეფანტებათ, ისინი მოერიდებიან პიონერებს. ამრიგად, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პიონერებმა ასეთ დროს ბავშები ისე უნდა მიიზიდონ, რომ მათ ეს ვერც კი იგრძნონ. ამისთვის ჩვენ მრავალი საშუალება გვაქვს. კოლექტივებში პიონერები ბევრს სხვადასხვა საინტერესო თამაშობას სწავლობენ და ისინი უნდა ცდილობდენ ამ თამაშობების ქუჩაში ან ეზოში გადმოტანას.

პირველ შემთხვევაში ცუდი არ იქნებოდა (საქმის გასაადვილებლად), რომ უპატრონო ბავშთან ახლო მდგომი პიონერი მას თავის ამხანაგსაც უწოდებდეს. ამ საშუალებით თამაშობაც უფრო გაადვილდება, სხვებსაც უფრო მეტად დაინტერესებენ. მაშასადამე, პირველი საშუალება უპატრონო ბავშთა შორის ავტორიტეტის მოსაპოებლად არის საინტერესო თამაშობა. თუ პიონერებმა ცოტაოდენი ავტორიტეტი მაინც მოიპოვეს ასეთ ბავშებში, მაშინ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნახევარი მუშაობა უკვე შესრულებულია. როდესაც პიონერები უპატრონო ბავშებში ავტორიტეტს მოიპოვებენ, მაშინ მათ შეუძლიათ გადავიდენ სხვა რთულ მუშაობაზე. მუშაობის ასეთ სახედ შეიძლება ჩაითვალოს პიონერების მიერ კოლექტივის ცხოვრებიდან სხვადასხვა ამბების მოყოლა.

ამგვარი მუშაობით პიონერებს შეუძლიათ ეს ბავშები სრულიად მოსწყვიტონ ქუჩას და კოლექტივს დაუახლოვონ.

გ. ბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაზია

ღამე საძაგელი ამინდი ასტყდა; ცა არ სჩანდა და დედამიწა თოვლით მოფიფქულიყო. ჟინიანმა ქარმა თოვლის კორიანტელი დააყენა, აცურდა მთის ფერდობზე, გველივით შესრიალდა ხევში, აატრიალა თოვლი, დედამიწიდან შეათამაშა ჰაერში და ისევ ზედ გააბნია, ისევ ასწია, დაატრიალა და ამ თარეშში წამოეწია ორ ადამიანს, რომელნიც საწყლად მოკრუნჩხულიყვნენ დიდი წამოხურული კლდის ქვეშ, კანკალებდენ და ერთმანეთს ეკვროდენ. ქარი ჩაერჭო მათ შუა, დატრიალდა მათ ირგვლივ და ებრძდა თავისი ცივი ნემსებით, სცდილობდა მათ განცალკევებას; ჯერ ადგილიდან ვერ სძრავდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ერთ ამ ადამიანთაგანს სისუსტე დაეტყო, იგი თანდათან დაიმორჩილა თოვლმა და ქარმა. ჯერ ააკვნესა, მერე გააჩუმა და უცნაურად ააცახცახა.

— ბები, ბებიკო, ბებია!.,

— ჰმ, — გამოეხმაურა თითქოს უკმაყოფილოდ ბებია.

— ავად ხომ არა ხარ? ჰა?

— ჰმ, — ძლივს უპასუხა ბებიამ.

— გშიან, ბებია? მიპასუხე, გშიან?

— ჰმ, — გაისმა კიდევ და მთლად მოზნექილი ბებია უფრო დაიხარა, ქარიც დააწვა და მოხუცებული თოვლზე გააწვინა.

— ნაზია, ნაზია...

— რა იყო, ბები?.. მეძახოდი, ბები?... ბები, მეძახოდი!...

— ჰმ.

— გშიან, არა?...

რატომ ჰკითხავდა ბებიას ნაზია: შია თუ არა. განა თვითონ პატარა გოგონა ნაზიამ არ იცის, რომ ბებიას შია?! მაგრამ იგი მაინც ეკითხებოდა.

— ბები, გშია, ბები?

ქარი ისე გულშესაზარლად ზუზუნებდა, თოვლის ფიფქები ისე გულგრილად ეფინებოდა მათ, შიში ისე იმონებდა გოგონას, რომ, ცხადია, ნაზიას არ უნდოდა ამ უსიტყვო საშინელებაში მონაწილეობა მიეღო. ამიტომ იყო, რომ ნაზია ჰკითხავდა ბებიას და მოუთმენლად ელოდა პასუხს.

— ბები! — კიდევ გაისმა „ჰმ“ და ნაზია ატირდა. აკანკალდა ტირილისაგან, სიცივისაგან, შიშისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ ნაზია წყნარად ადგა დათოვლილი მიწიდან, დახედა ბებიას და ჩასჩურჩულა:

— ბები, უუუ, ბები! მე პურისთვის მივდივარ, გესმის, ბები? აქ სადმე ახლო სოფელი იქნება, ბები, მე პურისთვის მივდივარ. ჯოხსაც წავიღებ ძაღლებისათვის... შენ ნუ გეშინია. ხომ გესმის?

— ჰმ, — წაიკვნესა ბებიამ, ძლივძლივობით გაალო მარჯვენა თვალი და შეხედა თავის შვილიშვილს, ისევ დახუჭა და ღრმად ამოისუნთქა.

ნაზია გაშორდა ბებიას და ჩქარი, მაგრამ ფრთხილი ნაბიჯებით დაეშვა ქვევით, სულ ქვევით, სადაც, მისი აზრით, სოფელი უნდა ყოფილიყო. ფრთხილად მიდიოდა და იყურებოდა აქეთ-იქით.

ოო... მას ძალიან ეშინოდა; ხახა გადამშრალი ჰქონდა შიშისაგან. მის თვალებს უცნაური კაშკაში დაეტყო. იგი მაინც მიდიოდა წინ, მიდიოდა, ჯოხით გზას იკვლევდა და სულ ჰფიქრობდა: „ბებიას შია, ბებიას შია, ბებიას შია". მაგრამ ამასთან ერთად კიდევ იმასაც ჰფიქრობდა, თუ რა იყო, რომ დღეს ბებია ძლივძლივობით დადიოდა? რათ არის, რომ ახლა უარი არც კი სთქვა ნაზიას განშორებაზე, თუმც, მართალია, ცოტა ხნით. რათ არის, რომ ნაზია და ბებია უკვე ერთი წლის განმავლობაში ასე უაზროდ დაეხეტებიან და იშვიათად თუ ერთად ძღარნი? ნაზიას გახსენდა, როგორ წავიდა მამა ომში და ისე უკვლოდ რომ დაიკარგა. გაახსენდა თავისი სოფლის ამხანაგები რომლებსაც დედები ჰყავდათ. ყველაფერს ამას ჰფიქრობდა ნაზია და ყველაფერს ამას ბანს „ბებიას შია" ეუბნებოდა.

აი, პატარა გორაკიც, მასზე საყდარი და ირგვლივ სიბნელე.

— ეს ალბად უძო. ბებიამ სთქვა, კოჯორი აქვეაო, — წაილუღლუღა ბავშვმა. აუჩქარა ფეხს, გასცილდა უძო-საყდარს და დაეშვა რაღაც ფერდობზე. ფეხები უსოვლდებოდა, გამხმარ ბუჩქნარებს ედებოდა, სრიალდებოდა, ვარდებოდა, მაგრამ ნაზია ისევ წელში სწორდებოდა, ისევ წინ მიდიოდა, თუმცა ტორტმანით.

— ბებიიი... სად არის კოჯორი, ბები! — თითქოს ემუდარებოდა გოგონა შორს დატოვებულ ბებიას.

წინ. წინ წინ.

ფეხს აუჩქარა, ბორცვს გაუარა, მიიხედ-მოიხედა... ქარმა თითქოს იერიში მიიტანა, ის წინ გაიგდო და უმოწყალოდ დასისინა: — სსსსად არის, სსსად?. სსსად არის, სსსად?...

ნაზია დაეცა. „ბებიას შია", გაუელვა თავში და წამოხტა. ისევ დააშტერდა სიბნელეს, ისევე დაეჯახა ქარს, ისევ საშინელმა ფიქრებმა გაიტაცა. ხელები გაეყინა. ცრემლები თოვლს აერია.

კიდევ ბორცვები. კიდევ მთები. ერთი... ორი... მესამეც... რამდენი დრო გავიდა? განა მას ახსოვს! როგორ გაიარა ამოდენა მანძილი? განა მას ახსოვს? რამდენჯერ დაეცა? რამდენჯერ წამოდგა?

შორს ისმოდა რაღაც ტირილი, ტურების გულსაკლავი ღმუილი, რომელიც ბებიას ტირილს აგონებდა ბავშს.

— სსუ, ბები, სსუ. ჩქარა მოვალ, სულ ჩქარა. პურსაც მოგიტან.

მას გზა სრულებით აერია. იგი სულ მთლად გაიყინა. იგი ხანდ-ხან ყვიროდა მაგრად, მაგრად: ბებიიი... ბები. გაწვალდა. მან არც კი იცოდა — უახლოვდებოდა იგი ბებიას თუ კოჯორს.

არც ერთი, არც მეორე. ნაზია უახლოვდება ტფილისს, იმ ქალაქს, სადაც, ბებიას იმედით, ადამიანი ყოველთვის მაძღარი იქნებოდა.

ღამის ოთხ საათზე, უძოდან ფუნიკულორამდის აღმართულ ხერხემალზე მიაბიჯებდა გოგონა. წყლის მაგივრად გზაში თოვლს ყლაპავდა.

— ბებიიი... — ამ ერთ ამონაკვნესში იმდენი მუდარა და შიში იყო, რომ თითქოს ქარსაც კი შეეცოდა ნაზია, შერცხვა, მოშორდა, გაჰქარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვევით, სადღაც ღუსკრულში გამოჩნდა ვარსკვლავები, განათებული ვარსკვლავები, რომლებიც საუცხოოდ ციმციმებდენ და იზიდავდენ გოგონას.

აი, რალაც კოშკი, აქვე ახლოს. აი, სახლები. ნაზია გაიქცა, მივარდა ერთ-ერთ კარებს, დააბრახუნა, კიდევ, კიდევ. მივარდა სხვა სახლის კარებს, დააბრახუნა მაგრად. ამაოდ! არცერთი სახლიდან არავინ გამოსულა, მაგრამ, აი, კიდევ ერთი სახლი, განაპირა სახლი!

— ქურდი... არ გაღუო არა, არ გაღუო... ლი ატირდა და კაცი ამშვიდებდა.

— ससससუ.

გაჩუმდენ.

— გააღეთ, გააღეთ, კარები..... მე ალქაჯი არა ვარ, მე ქურდი არა ვარ... არა... არა...

ტყუილა არახუნებდა ნაზია. ხელები ეტკინა, სიცივის ნემსებით ტანი დაეჩხვლიტა, ხმა ჩაუხრინწიანდა.



ნაზია მიუახლოვდა, დააბრახუნა რაც ძალი და ლონე შესწევდა.

— ეჰეი, გამიღეთ კარები... გამიღეთ კარები, ჰეჰეი, გამი...

— ვინა ხარ?—გაისმა კაცის ხმა.

— გამიღეთ, გამიღეთ! მე ნაზია ვარ, ნაზია... ბებიას შია... მე ნაზია ვარ.... ბებიას.... ბებიას.... ცოტა... სულ ცოტა, ერთი ლუკმა პური.....

მიუხედავად იმისა, რომ ნაზია აღელვებული იყო, მან მაინც შეიკავა თავი და გაჩუმდა, როდესაც კარებს იქიდან ჩურჩული მოესმა.

ქალის ხმა. სად მიდიხარ?

კაცის ხმა. კარები უნდა გავაღო.

— რა კარები, რისთვის?

— ვილაც ნაზიაა.

— ოო, ისე მოგვანაზებს: გაუშვი, არ გაუღო, ალქაჯი იქნება.

გაშორდა ამ ადგილს. მიუახლოვდა რალაც მოაჯირს. მის წინ ამართული იყო მაღალი კოშკი, ცივი, უსიტყვო.

გადიხედა ქვევით; იქ ვარსკვლავებით გაშუქებული იყო ყველაფერი.

როგორ ანათებენ ვარსკვლავები! მაშ, მე იქითკენ მივდივარ, იქ უნდა ჩავიდე, აი, იქ! ნუთუ არ მომცემენ პურს? ნუთუ იმათაც ალქაჯი და ქურდი ვეგონები?

ნაზიამ მიაგნო ბილიკს. ათასჯერ უფრო ფრთხილად, ნელის ნაბიჯებით ჩაეშვა ქვევით. ეპოტინებოდა ბუჩქებს, კლდეებს, გამოზნექილ ადგილებს. ის ისე ფრთხილად და გულმოდგინედ ათვალიერებდა ფეხებისათვის დასადგმელ ადგილებს, რომ ვერც კი შეამჩნია გათენება. იგი ისე მოიღალა, რომ სრულიად უკაბედად, როცა ფეხი დაუსხლტდა და თავი ასწია—დაინახა ქალაქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაშეშდა. დააშტერდა უზარმაზარ სახლებს. ყელში რაღაც მოებჯინა. მერე დიდი ვაი-ვაგლახით მიაღწია ქუჩებს და ძალ-ღონე გამოლეული კედელს მიეყუდა. მუხლები ჩაეკეცა და ისე გაწვა ქვაფენილზე, როგორც ბებია იქ, უძოს იქით. იგი ბუტბუტებდა, ბებილოს შიაო. ბუნდოვანად ახსოვს, როგორ მო-



ვიდა ვიღაცა კაცი და ცდილობდა ნაზიას გაღვიძებას. ახსოვს, როგორ აიყვანა ხელში და ვიღაცას გადასცა. სადღაც წაიყვანეს, დააწვინეს. ჩააცვეს სუფთა პერანგი. ყველა მას დაფუსფუსებდა თავს. თუმცა რაღაც საძაგელს კი ასმევდენ. ხანდახან ნაზია ხედავდა ბებიას, რომელიც ხან ჩნდებოდა, ხან ქრებოდა. ნაზიას უნდოდა „ბების“ ჩაჰკვროდა გულში, მაგრამ რაწამს გაუწვდიდა ხელებს, ბებია ქრებოდა.

— ბები, ბები... ჩემო ბებიკო! რატომ ასე ... ხვალ... რატომ? - ჩურჩულებდა ის.

— აბოდებს, — ამბობდა ამ დროს მასთან მჯდომი სათნოების და.

თითქმის მთელი ზამთარი იავადმყოფა ნაზიამ და, როგორც ამბობდენ, ძლივს გამოჰკლიჯეს ექიმებმა და სათნოების დებმა სიკვდილს.

ნაზია ცოტა გამოკეთდა. მას უკვე ლაპარაკის ნება ჰქონდა მიცემული. ერთხელ საღამოს ნაზია მიუბრუნდა სათნოების დას და შეეკითხა:

— ბები არ მოსულა?

— არა, ნაზია. მაგრამ მოვა, ჩქარა მოვა.

— არა, ის აღარ მოვა... აღარ, — წაილუღლუღა ნაზიამ და გადაბრუნდა მეორე მხარეს.

ნაზია მორჩა.

მას შემდეგ კარგა დრომ განვლო. ნაზია საბავშო სახლში გაგზავნეს და იქ ცხოვრობს. საბავშო სახლიდან მოსჩანს ფუნიკულიორის მაღალ კოშკზე ბრწყინვალე, ხუთქიმიანი წითელი ვარსკვლავი და არ იცის ნაზიამ, აშუქებდა თუ არა მაშინაც ის ლამაზი ვარსკვლავი, როდესაც ის პურს და ბინას ეძებ. და საყვარელი ბებიკოსთვის და მისი გული ისეთი შიშითა და ტანჯვით იყო სავსე. მან ხომ დაინახა მაშინ კოშკი...

სამაგალითო ბავშია ნაზია, ყოველი მისი ქცევა მოფიქრებული და ჭკვიანურია. მისი გული დამშვიდებულია, იცის, რომ ამ ხუთქიმიანი ვარსკვლავის სამეფოში ის ქურდად და ალქაჯად აღარავის ეჩვენება და კარებს არავინ ჩაუკეტავს პატარას.

დიომიდე ანთაძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ესკიმოსი კიში

I. კიშის აღშფოთება

კიში მეტად საზრიანი, ღონიერი და ჯანმრთელი ბიჭი იყო. მას მზე ცამეტჯერ ენახა, რადგანაც მის ქვეყანაში მზე ყოველწლიურად იმალება დიდი ხნით და ყველაფერს ბნელი მოიცავს; შემდეგ წელიწადს ის ისევ გამოჩნდება, ხალხს გაათბობს და გაუნათებს. კიშის მამა, ბოკი, ძალიან გაბედული კაცი იყო; ის ნადირობაში დაიღუპა: როდესაც სოფელში შიმშილობა იყო, ხალხის გადასარჩენად ბოკი უზარმაზარ თეთრ დათვს ხელდახელ შეებრძოლა, მაგრამ დამარცხდა, დათვმა ის გასრისა. მან მოასწრო მაინც დათვის მოკვლა და სოფლელები შიმშილით სიკვდილს გადაარჩინა.

კიში მისი ერთადერთი შვილი იყო. მამის სიკვდილის შემდეგ ის დედასთან ცხოვრობდა. ადამიანები ყველაფერს მალე ივიწყებენ; ესკიმოსებმაც დაივიწყეს კიშის მამის თავდადება და გულადობა; რადგანაც კიში ჯერ პატარა იყო, დედამისი კი უბედური დედაკაცი, — ისინიც ყველას დაავიწყდა. სულ მალე დედა-შვილს ყველაზე ღარიბ და საკოდავ „იგლო“-ში (იგლო — ესკიმოსის ქოხი, თოვლისა და ყინულისგაან აშენებული) მოუხდა დასახლება.

ერთ საღამოს ესკიმოსები სოფლის მამასახლისის კლოშ-კვანის დიდ ქოხში შეიკრიბნენ ყრილობაზე; აქ კიშმა დაუმტკიცა მათ, რომ მის ძარღვებში მამაცური სისხლი სდის და ის ბავში აღარ არის. დიდსავით დინჯად წამოდგა, შეიცადა, სანამ ყველანი დაჩუმდებოდენ და წარმოსთქვა:

— მართალია, მე და ჩემს ოჯახს ხორცის ულუფა გვეძლევა, მაგრამ ის ხშირად ძველი და მაგარია; გარდა ამისა, შიგ მეტად ბევრი ძვალია.

ყველა მონადირეები, როგორც ჭაღარა მოხუცები, ისე ღონიერი ახალგაზრდები, განცვიფრდენ. მათ არასდროს არ გაეგონათ, რომ პატარა ბიჭი დიდსავით მსჯელობდეს და უფროსებს ასეთ საწყენ სიტყვებს პირში ეუბნებოდეს.

კიში კი მშვიდად განაგრძობდა თავის სიტყვას.

— მე ამას მიტომ ვამბობ, რომ ვიცი, მამაჩემი, ბოკა, სახელოვანი მონადირე იყო. ამბობენ, რომ ის ორ კარგ მონადირეზე უფრო მეტ ხორცს შოულობდა, თვითონ ანაწილებდა სარჩოს და თვალყურს ადევნებდა, რომ ყველაზე საცოდავ მოხუცებსაც შეხვდომოდა წილი.

— ნა-ნა-ნა! — დაიყვირეს მონადირეებმა — გააგდეთ ეს ბიჭი. წავიდეს, დაიძინოს. განა მაგ მამაკაცია, რომ უფროსებს აგრე ელაპარაკება?

მაგრამ კიში მშვიდად ელოდა ხალხის დაშოშმინებას.

— შენ ცოლი გყავს, უ-გლუკ, და მას პატრონობ. შენ, მასუკო, ცოლს და დედას ესარჩლები და უვლი. ჩემ დედას ჩემს მეტი არავინ ჰყავს და მე მაზე უნდა ვიზრუნო. და, აი, რას გეტყვით: მამაჩემი, ბოკა, მიტომ დაიღუპა, რომ კარგი მონადირე იყო; ამიტომ მე, მის შვილს, და იკიგას, მის ცოლს, საკმაო ხორცი უნდა მოგვეცეს, როცა კი სოფელს ექნება.

ამის თქმა მინდოდა მე, კიშს, ბოკას შვილს!

ამ სიტყვებით ის დაჯდა და აღელვებული ესკიმოსების გაჯავრებულ ხმებს დინჯად ისმენდა.

— ბიჭმა რომ ყრილობაში ლაპარაკი გაბედოს! — ბუტბუტებდა ბებერი უ-გლუკი. — ნუთუ ძუძუმწოვარმა ბავშმა უნდა გვასწავლოს ჭკუა? — გაიძახოდა მასუკი. — მე მამაკაცი ვარ, ნუთუ ყოველმა ბარტყმა დაცინვა უნდა გამიბედოს!

აღელვებამ უკიდურეს საზღვარს მიაღწია. უფროსები ემუქრებოდენ, რომ სრულიად არ მისცემდენ მას ხორცს, უბრძანებდენ, დასაძინებლად წასული-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყო, გალახვასაც კი უპირებდენ ასეთი თავხედობისათვის.

კიში წამოხტა, მას თვალები უელავდა, სახეზე წამონათებული იყო.

— თქვენ, ეი, მომისმინეთ! — დაიძახა მან. მე არასდროს არ ვილაპარაკებ ყრილობაზე, სანამ არ მოხვალთ და არ შემეხვეწებით: „კარგი იქნება, კიშო, რომ სიტყვას იტყოდე. ჩვენ გვსურს, რომ შენ ილაპარაკო“. ახლა კი ჩემი უკანასკნელი სიტყვა მოისმინეთ: მამაჩემი დიდებული მონადირე იყო. მე, მისი შვილი, წავალ სანადიროდ და საზრდოს ვიშოვი. მაგრამ იცოდეთ, ნადირს ყოველთვის სამართლიანად გავყოფ. არც ერთი ქვრივი, არც ერთი ავადმყოფი და უძლური არ იტირებს შიმშილისაგან, როგორც ახლა, როდესაც ძლიერები ისე ძღებიან, რომ მუცლის ტკივილი აკვნესებსთ. მოვა დრო, და ამ ღორმუცელებს შერცხვებათ. მე, კიში, გეუბნებით ამას!

როცა ქოხიდან გავიდა, უკან დაცინვა მოესმა; პირი მოკუმა და თავის გზას გაუდგა.

მეორე დღეს ნაპირს გაჰყვა. მისმა მნახველებმა შენიშნეს, რომ მშვილდი და ძვლის ისრები მიჰქონდა; მხარზე მამის დიდი შუბი გადაეგდო.

ამან ბევრი დაცინვა, ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რადგანაც ამისი მსგავსი არასდროს არაფერი მომხდარიყო.

ამ ხნის ბიჭები არასდროს სანადიროდ არ დადიოდენ, ისიც მარტოკა. ესკიმოსები თავს იქნევდენ, სხვადასხვა რამეს წინასწარმეტყველობდენ; დედაკაცები კიშის დედის, იკიგას, დაღვრემილ სახეს შესცქეროდენ.

— მალე დაბრუნდებაო, ეურბნებოდენ დასამშვიდებლად.

— წავიდეს, ჭკუას ისწავლის, — ამბობდენ მონადირეები. — მალე დაბრუნდება და თავდაბალი გახდება, თავხედ სიტყვებზე ხელს აიღებს.

II. კიშის საიდუმლოება

გავიდა ერთი დღე, გავიდა მეორე; მესამე დღეს ძლიერი ქარი ამოვარდა; კიში არ სჩანდა. იკიგა თმებს იგლეჯდა, მწუხარების ნიშნად თავზე ნაცარი დაიყარა. ქალები მამაკაცებს უსაყვედურებდენ, ბავშს აწყენინეთ და დაღუპეთო. მონადირეები არაფერს ამბობდენ და ქარიშხლის ჩადგომას ელოდენ, რომ დაღუპული კიშის მოსაძებნად წასულიყვენ.

მეორე დღეს კი კიში გამოცხადდა დილით ადრე, თითქოს აქ არაფერი მომხდარაო. ზურგით მძიმე ტვირთს — დათვის ხორცს მოათრევდა, მიაბარა და ლაპარაკში ამპარტავნობა ეტყობოდა.

— ძაღლები მარხილებში გააბით და ჩემს კვალს გაჰყევით. ნახევარი დღის სიარულის შემდეგ ყინულზე მოკლულ დედა-დათვს და მის ორ ბელს იპოვით.

დედამისი, იკიგა, სიხარულით ალარ იყო; მისი ალერსი კიშმა დიდსავით მიიღო, მხოლოდ ეს უთხრა:

— წავიდეთ, იკიგა, ვჭამოთ. შემდეგ დავიძინებ, მიტომ რომ ძლიერ დავიღალე.

გამოძღა და მთელი ოცი საათი ეძინა.

მისმა სიტყვებმა ყველანი დააეჭვა. თეთრ დათვებზე ნადირობა მეტად ძნელია, მით უფრო — დედა-დათვზე. ესკიმოსებს არ სჯეროდათ, რომ პატარა კიშმა ასეთი სასწაული მოახდინა, ისიც სულ მარტო.

და, ბოლოს, მაინც წავიდენ, თან ბუზღუნებდენ, კიში, უთუოდ, მოკლულ დათვს არ გასჩეხავდაო [1]).

როცა მონადირეები ნაჩვენებ ადგილზე მივიდენ, ნახეს რომ კიშს არა თუ გაუჭრია დათვი, შიგნეულიც ამოღებია, როგორც საუკეთესო მონადირეს.

ამ დღიდან გავრცელდა ხმები, კიშმა რაღაც საიდუმლოება იცისო. ეს საიდუმლეობა დღითი-დღე უფრო გაუგებარი ხდებოდა.

მეორედ მან უფრო დიდი დათვი მოკლა, მესამედ — დიდი ბებერი დათვი და დედა-დათვი ერთად. ჩვეულებრივ სანადიროდ ორი-სამი დღით მიდიოდა, ხანდახან მთელი კვირეებიც კი დახეტიალობდა ყინულიან მინდვრებზე.

არავის თან წაყვანას არ სთანხმდებოდა, რაც ყველას აეჭვებდა.

— როგორ ახერხებს? — ეკითხებოდენ ერთმანეთს. — ძაღლიც კი არ ახლავს თან.

— რათ ნადირობ მაინც და მაინც დათვებზე? — გაუბედავად შეეკითხა ერთხელ კლოშ-კვანი.

კიშმა მოსწრებულად უპასუხა:

— ყველამ იცის, რომ დათვს მეტი ხორცი აქვს.

სოფელში კუდიანობაზე დაიწყეს მითქმა-მოთქმა.

— ავი სულების დახმარებით ნადირობს, — ამტკიცებდა ზოგი, — მიტომაა ყოველთვის გამარჯვებული. როგორ შეიძლება ასეთი რამის გაკეთება, თუ ავი სულები არ შველიან?

---

[1]) ჩრდილოეთში მოკლულ ნადირს მაშინვე გასჩეხავენ, თორემ როცა ხორცი გაიყინება, მისი გაჭრა ალარ შეიძლება, დაუჭრელად კი ნადირის მარხილით წათრევა ძნელია, რადგანაც ის 200-300 გირვანქას იწონის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგებ ავი კი არა, კეთილი სულები შველიან?— ამბობდენ სხვეები.—ხომ იცით, მამამისი გულადი მონადირე იყო, ეგებ მისი სული ნადირობს შვილთან ერთად, ვინ იცის?

კიშის ნადირობა კი მუდამ ბარაქიანი იყო და მაზე ნაკლებად დახელოვნებული მონადირეები მისი ნაშოვნის სოფელში მოზიდვას უნდებოდენ. გაყოფა ყველასთვის სამართლიანად ხდებოდა: ისე, როგორც მამამისი, კიში თვალყურს ადევნებდა, რომ უძლურებს და მოხუცებს სხვებზე ნაკლები არ ხდომოდათ, თავისთვის სხვებზე მეტს არ იტოვებდა. ამიტომ მას პატივით და მოწიწებითაც კი ეპყრობოდენ; იმასაც კი ამბობდენ, მოხუცი კლოშ-კვანის შემდეგ წინამძღოლობა მას ხვდებაო. ყველა ელოდა, რომ კიში ყრილობაზედაც ისე გამოიჩენდა თავს, როგორც ნადირობაში, მაგრამ ის ყრილობას არ ეკარებოდა, სოფლელებს კი მისი დაძახებისა რცხვენოდათ.

— იგლო უნდა ავიშენო, — უთხრა ერთხელ კიშმა კლოშ-კვანს და რამოდენიმე მონადირეს. — ისეთი სრული უნდა იქნეს, რომ მე და იკიგა თავს თავისუფლად ვგრძნობდეთ.

— სწორია, — კვერი დაუკრეს თავის ქნევით ესკიმოსებმა.

— მაგრამ მე დრო არა მაქვს. ჩემი საქმე ნადირობაა, ის მე მთელ დროს მართმევს. წესით და რიგით, ქოხი სოფლელებმა უნდა ამიგონ, ჩემი ნადავლით რომ იკვებებიან.

მალე კიშს ისეთი ქოხი აუგეს, რომ სისრულით კლოშ-კვანის ბინასაც აღემატებოდა. იკიგამ პირველად მოითქვა სული ქმრის სიკვდილის შემდეგ; დედა-შვილს ახლა არაფერი აკლდათ. იკიგამ სოფლელ ქალებში დიდი პატივი მოიპოვა, როგორც გასაოცარი მონადირის დედამ. მას პირველ ქალად სთვლიდენ სოფელში; ყოველ მის სიტყვას და რჩევას გასავალი ჰქონდა.

მაგრამ ყველაფერზე უფრო ესკიმოსებს კიშის ნადირობის საიდუმლოება აინტერესებდათ. ბოლოს უ-გლუკმა მას ხალხში დასწამა კუდიანობა.

— შენზე ამბობენ, რომ ავ სულებთან გაქვს კავშირი, რომლებიც ნადირობაში გშველიან, — დამუქრებით წამოსძახა მან.

— განა ხორცი ცუდია? — მოუგო კიშმა. — განა მან სოფელში ვისმე აწყინა. საიდან იცი, რომ ეს კუდიანობაა? თუ ჩემი სახელი გშურს და იმიტომ ფიქრობ ამას?

შერცხვენილ უ-გლუკს ენა ჩაუვარდა და გაეცალა; დედაკაცებმა სიცილი დააყარეს. მაგრამ მალე ბევრი მსჯელობის შემდეგ ყრილობაზე გადაწყდა, კიშს მდევარი მივუჩინოთ და ამ გზით ვიგოთ მისი ნადირობის საიდუმლოებაო.

III. კიშის ნადირობა

ამის შემდეგ როდესაც კიში სანადიროდ გავიდა, მას შეუმჩნეველად აედევნა ორი ახალგაზრდა ესკიმოსი, ბიმი და ბაუნი, ორივე დახელოვნებული მონადირეები. ისინი ხუთი დღის შემდეგ დაბრუნდენ. ორივეს ეჩქარებოდათ ნანახის სოფლისათვის გადაცემა, თვალები უბრწყინავდათ, ენა უკანკალებდათ. კლოშ-კვანის ქოხში სასწრაფოდ მოიწვიეს კრება.

— ძმებო! ჩვენ კიშის კვალს გავყევით, ფრთხილად, როგორც თქვენ გვიბრძანეთ, რომ მას არ გაეგო, — დაიწყო ბიმმა. — ასე ვიარეთ ნახევარი დღე. უცებ კიშს დიდი დათვი შეეფეთა, ძალიან დიდი დათვი.

— უფრო დიდი არც მოიძებნება, — კვერი დაუკრა ბაუნმა და სიტყვა წაართვა. — დათვს სულაც არ უნდოდა ბრძოლა, მიტომ რომ გზა აუქცია და ნელა მიჰყვა ყინულს. ჩვენ მას ნაპირის კლდიდან ვხედავდით. დათვი ჩვენკენ მოდიოდა, კიში უკან მოსდევდა უშიშრად, ლანძღავდა, ხმაურობდა, უქაქანებდა. ბოლოს დათვი გაბრაზდა, ყალყზე შესდგა და აბურდღულდა. კიში გაბედულად მიუახლოვდა...

— მაშ, — სიტყვა ჩაუთრო ისევ ბიმმა და ამბავი განაგრძო, — კიში პირდაპირ მივიდა დათვთან. როცა დათვი დაედევნა, ის გაიქცა; მირბოდა და თოვლზე პატარ-პატარა ბურთულებს ჰყრიდა. დათვმა პირველი ბურთულა დაყნოსა და გადაყლაპა. იმას სხვებიც მიაყოლა. ასე გარბოდა კიში, ბურთულებს ისროდა, დათვი მისდევდა და ბურთულებს ყლაპავდა.

ხალხში გაკვირვების ხმები გაისმა, უ-გლუკმა წამოიძახა, ეს ყველაფერი სიცრუეაო.

— ჩვენ ეს საკუთარი თვალებით ვნახეთ, — გაანაცხადა ბიმმა.

— დიახ, საკუთარი თვალებით, — დაუდასტურა ბაუნმა. — ასე კარგახანს გაგრძელდა. უცებ დათვი ყალყზე შედგა, სიმწარისაგან დაილმუილა და წინა ტორების ქნევა დაიწყო. კიში განზე გაუხტა და მოშორებით დადგა. დათვი მის იქ ყოფნას ვერც კი ამჩნევდა, ისე იტანჯებოდა ტკივილებისაგან.

— დიახ, საშინელი ტკივილი აუტყდა; სახეს იკაწრავდა, თოვლზე მოთამაშე ლეკვივით დახტოდა. მაგრამ ღმუილზე და კივილზე ეტყობოდა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი არ ერთობოდა, ავად იყო. არასდროს ამისი მსგავსი არაფერი მინახავს.

— არასოდეს, არასოდეს, — სთქვა ბაუნმაც. მერე რა დიდი დათვი იყო!

— ეს კუდიანობაა, — დარწმუნებით განაცხადა უ-გლუკმა.

— რა ვიცი, — მიუგო ბაუნმა, — მე მხოლოდ იმას გიამბობთ, რაც ჩემმა თვალებმა ნახეს. რამოდენიმე ხნის შემდეგ დათვი ხტუნვისაგან დაიქანცა და დასუსტდა, რადგანაც მეტად დიდი და მძიმე იყო. მაშინ ნელი ნაბიჯით გაუდგა ნაპირს, თავს იქნევდა, ხშირად ისვენებდა და ღმუოდა. კიში უკან მისდევდა, ჩვენ კიშს მივდევდით. ასე ვიარეთ მთელი დღე და კიდე სამი დღე. ბოლოს დათვი სულ დასუსტდა და განუწყვეტლად კვნესოდა.



— ეს კუდიანობაა, — შესძახა უ-გლუკმა. — აუცილებლად კუდიანობაა.

— შეიძლება.

ბიმმა განაგრძო.

— დათვს გზა ერეოდა, ხან ერთ მხარეს გაუდგებოდა, ხან მეორეს, ხან თავის ძველ კვალს მიჰყვებოდა; ბოლოს იმ ადგილას მიადგა, სადაც კიშს პირველად შეხვდა. აქ ისე დასუსტდა, რომ ბობღვაც აღარ შეეძლო. კიში მივიდა მასთან და დაკლა.

— შემდეგ რა მოხდა? — შეეკითხა კლოშ-კვანი.

— რა და, კიში დათვის გატყავებას შეუდგა, ჩვენ კი აქეთ გამოვიქეცით ამბის მოსატანად.

IV. კიშმა სახელი გაითქვა

მთელი ის დღე დედაკაცები დათვის ხორცის ზიდვას მოუნდენ, მამაკაცები კი სულ ყრილობაზე იყვნენ.

როცა კიში სოფელში დაბრუნდა, ბევრ ბაზე დაიბარეს, მაგრამ მან განაცხადა, რომ დაღლილია და დამშეულია, რომ მისი ბინა დიდია და ყველას დაიტევს, ვისაც მისი ნახვა სურს.

ესკიმოსებს ცნობისმოყვარეობა მოსვენებას არ აძლევდა. ყველანი, ვინც ყრილობაზე იყო, კლოშ-კვანის შეთაურობით კიშის ბინაზე მივიდენ.

კიში ამ დროს ხორცს შეექცეოდა, მაგრამ ყველანი პატივით მიიღო და უფროსობის მიხედვით დასვა. იკიგა კიდეც ამაყობდა და კიდეც მორცხვობდა, კიში კი სრულიად დამშვიდებული იყო.

კლოშ-კვანმა ჯერ უამბო ბიმის და ბაუნის მოტანილი ცნობები და შემდეგ მკაცრად შეეკითხა:

— ჩვენ გვსურს, რომ შენ, კიშო, აგვიხსნა შენი ნადიროობის ხერხი. კუდიანობაა ეს თუ არა?

კიშმა ხალხს გადახედა და გაიღიმა.

— არა, კლოშ-კვან, კუდიანობა ახალგაზრდებს არ შეჰფერის და მეც არაფერი ვიცი მისი. მაგრამ მე დათვის მოკვლის კარგი ხერხი მოვიგონე, — ესაა და ეს. ეს კუდიანობა კი არა, საზრიანობაა.

— და ყველას შეუძლია ამისი გაკეთება?

— ყოველ ადამიანს.

სიჩუმე ჩამოვარდა. ყველანი ერთმანეთს შესცქეროდენ. კიში კი ხორცს შეექცეოდა..

— და... შენ... ჩვენც გვასწავლი, კიშ? — აკანკალებული ხმით შეეკითხა კლოშ-კვანი.

— კარგი, გეტყვი, — გაიღიმა კიში, ქონიანი ძვლის წუწნას თავი დაანება და ფეხზე წამოდგა. — ეს სულ უბრალო რამაა. უცქირე.

ხელში ვეშაპის წვრილი ულვაში აიღო და ყველას უჩვენა. ულვაშს ნემსებივით წვეტიანი ბოლოები ჰქონდა. კიშმა ულვაში რგვალად მოკაკვა და ხელი მოუჭირა, შემდეგ უცბად შეუშვა და ულვაში გაიმართა. შემდეგ ვეშაპის ქონის ნაჭერი აიღო და წარმოსთქვა:

— აი, ასე, ჯერ ქონის პატარა ნაჭერს ჩავლრმავებ. შიგ ვეშაპის დარგვალებულ ულვაშს ჩავდებ, ზედ ისევ ქონს დავადებ; შემდეგ ამას თოვლში ჩავდებ, გაიყინება და პატარა ბურთულას მივიღებ. დათვი ამ ბურთულას ყლაპავს. კუჭში ქონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებდა და ულვაშს ეცლება, ულვაში გაიმართება და დათვი ტკივილს გრძნობს. როცა დათვი დასუსტდება, შუბით ვკლავ. ეს სულ ადვილი საქმეა.

უ-გლუკმა სთქვა: „ო-ო“, კლოშ-კვანმა სთქვა: „ა-ა“, გაკვირვება ყველამ თავისებურად გამოხატა. ყველამ კარგად გაიგო კიშის ხერხი.

ასეთია თქმულება კიშზე, რომელიც ოდესღაც პოლიარული ზღვის ნაპირას ცხოვრობდა. რადგანაც ის კუდიანობის მაგიერ ხერხს დაადგებოდა ხმარობდა, სოფლის წინამძღოლი გახდა, თუმცა წინეთ ყველაზე უკანასკნელი კაცი იყო.

თქმულება ამბობს, რომ სანამ ის ცოცხალი იყო, მისი თემი ბედნიერად ცხოვრობდა, არავის არაფერი აკლდა; არც ერთი ქვრივი, არც ერთი სუსტი და უძლური არ ტიროდა ღამ-ღამობით შიმშილისაგან.

9 იანვარი

21 წლის წინად დაიწყო რუსეთის პირველი რევოლუცია. ამ დღეს, 1905 წლის 9 იანვარს, პეტერბურგს მუშებმა სისხლით გამოისყიდეს თავისი შეცდომა: ეგონათ, რომ მეფე მოისურვებს იმ რწმენისათვის, რომელსაც ისინი ამყარებდენ მეფეზე, იმათი აუტანელი მძიმე ცხოვრების შემსუბუქებას. მუშების მიერ დაღვრილმა სისხლმა გასთხარა საშინელი გადაულახავი უფსკრული ხალხსა და მაშინდელ მთავრობას შორის. ამ სისხლმა ააფეთქა ხალხის რისხვის ხანძარი, და ამ ხანძარში დაიწვა 12 წლის შემდეგ რუსეთის მრავალი საუკუნის განმავლობაში შეურყეველი თვითმპყრობელობა.

რა მოხდა 9 იანვარს?

1905 წლის 9 იანვარს პეტერბურგის მუშები ეახლენ მეფეს და სთხოვეს, „ებოძებია“ მათთვის 8 საათის სამუშაო დღე და ცხოვრების გაუმჯობესებული პირობები.

ახლა ამნაირი თხოვნა ჩვენ უცნაურ, დაუჯერებელ ამბად გვეჩვენება:—სთხოვენ მჩაგვრელთა მეთაურს, გაგვათავისუფლე იმ ჩაგვრისაგან, რომელსაც თქვენი წყალობით განვიცდითო. და მერე ვინ სთხოვს?— პეტერბურგის მუშები, რუსეთის პროლეტარიატის მოწინავე რაზმი, რომელსაც შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრჯერ მიუტანია იერიში თვითმპყრობელობის სიმაგრის დასამხობად.

მაგრამ მაშინ, 21 წლის წინად, მუშების ამნაირი მიმართვა მეფისადმი სრულიად ბუნებრივად ითვლებოდა მაშინდელი პროლეტარიატის ჩამორჩენილი ფენებისთვის.

მძიმე იყო მაშინდელი მუშის ცხოვრება: 11—12 საათის სამუშაო დღე, მცირე ხელფასი, პოლიციის დევნა-ძარცვა, მექარხნეების თვითნებობა, საშინელი სიღარიბე და სიღატაკე, ისეთი პირობები, რომ მუშები ბუზებივით იხოცებოდენ.

მუშათა კლასი, რომელიც განიცდიდა ამ აუტანელ მდგომარეობას, ეძებდა გამოსავალს, ღელავდა. 1870-ანი წლებიდან დაწყებული მუშებში ხშირად იჩენდა ხოლმე თავს გაფიცვები. მოწინავე მუშებს ესმოდათ, ვინ იყო იმათი მტერი და როგორი ბრძოლა იყო საჭირო. 90-იან წლებში უკვე ჩამოყალიბდა სარევოლუციო ორგანიზაციები.

ამ ორგანიზაციებში უფრო მტკიცე და გავლენიანი ორგანიზაცია „მუშათა კლასის განმათავისუფლებელი ბრძოლის კავშირი“ იყო, რომელსაც მეთაურობდენ სხვათა შორის ვ. ი. ლენინი და ი. ო მარტოვი.

განსაკუთრებით გაძლიერდა მუშათა შორის მღელვარება 1903—904 წლებში. მღელვარებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ სწორედ ამ წლებში დაიწყო ყოველმხრივ უაზრო, საშინელი და სასირცხვო ომი იაპონიასთან.

მუშები ღელავდენ. თვითმპყრობელობის დამქაშები გრძნობდენ, რომ დღეს თუ არა, ხვალ მუშათა კლასი შეიგნებს, თუ ვინ არის მისი ნამდვილი მტერი, და გაფაციცებით ეძებდენ საშუალებას, რომ რამენაირად თვალი აეხვიათ მუშებისათვის და მათთვის სასურველ გზაზე დაეყენებიათ. და, აი, მეფის ჟანდარმებმა და პოლიციამ გამოსძებნეს კიდევაც საშუალება: იმათ მოაწყვეს მუშებში საზოგადოებები, რომლებიც ეუბნებოდენ პროლეტარიატს: თქვენ რა გაღელვებთ, რაზე დაივიწყეთ მეფე, ჩვენი მამა, რომელსაც თქვენ მუდამ ახსოვხართ? ნუ აჰყვებით რევოლუციონერებს, ენდეთ მეფეს, ის იქნება თქვენი მფარველი. ამნაირი საზოგადოება დაარსდა პეტერბურგში მღვდელი გაპონის ხელმძღვანელობით.

მაგრამ ჟანდარმები და პოლიციელები არ დაუფიქრდენ იმას, რომ ცეცხლით ხუმრობა სახიფათოა. მუშების ჩამორჩენილი ფენები მართლაც მოტყუვდენ და წამოეგენ ჟანდარმების ანკესზე. მრავალი საუკუნის განმავლობაში ატყუებდენ რუსის ხალხს გაბატონებული კლასები, რომ მეფეს ნავს ყველაფერზე და ყველასთვის და თუ ბოროტება არის ქვეყანაზე, მხოლოდ იმიტომ, რომ მეფეს ამის შესახებ არაფერს ატყობინებენ და მან არაფერი არ იცისო.

და ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ საუკუნეებით გაბრუებულმა მუშა ხალხმა უცებ ვერ დააღწია თავი და ცრუ შთაგონებისაგან ვერ განთავისუფლდა.

ჩამორჩენილმა ფენებმა მუშებისამ დაიჯერეს, რომ მეფე მათ იხსნის გაჭირვებისაგან და მოითხოვეს: წავიდეთ მეფესთან და შევჩივლოთ მას ჩვენი გასაჭირიო.

— წავიდეთ მეფესთან! — გაისმა პეტერბურგის ქარხნებსა და ფაბრიკებში მუშების ხმა. ამას კი არ მოელოდენ პოლიცია და ჟანდარმები.

მუშები წავლენ მეფესთან, მოითხოვენ თავისუფლებას, 8 საათის სამუშაო დღეს, მცირეწლოვანთა დაცვას ქარხნებში.

როგორ უნდა მოგვარდეს ეს საქმე?

შესაძლებელია, მეფე გამოვიდეს მუშებთან სალაპარაკოდ. მართალს ხომ ვერ ეტყვის, ხომ ვერ ეტყვის, მე ვარ თქვენი მტრების მეთაური. ან იქნება, შესაძლებელია, მეფემ მოთხოვნათა შესრულება აღუთქვას? მაგრამ დაპირება ხომ უნდა იქნას სისრულეში მოყვანილი?

მაშინ მეფემ და მისმა დამქაშებმა გადასწყვიტეს, რომ, რადგანაც შეუძლებელია მოტყუება, საჭიროა დაშინება და შეადგინეს საზარელი გეგმა: გადასწყვიტეს, დახოცონ უიარაღო ხალხი, თუ ისინი გაბედავენ და სთხოვენ მეფეს თავისი ცხოვრების გაუმჯობესებას.

მუშათა მასები კი მოუთმენლად ელოდენ 9 იანვარს: ამ დღისთვის იყო დანიშნული მეფესთან წასვლა,

1905 წ. 9 იანვარს დილით 200 ათასზე მეტი მუშა დაიძრა საზამთრო სასახლისაკენ. მათ მიჰქონდათ პეტიცია (თხოვნა), რომელშიც თხოულობდენ: 8 საათის სამუშაო დღეს, სიტყვის, ბეჭდვის და კრების თავისუფლებას. ამნაირი ცხოვრება შეუძლებელია, — ამბობდენ თხოვნაში მუშები.

როდესაც ეს უიარაღო ხალხი მიუახლოვდა საზამთრო სასახლეს სხვადასხვა ქუჩებიდან, მათ გამწკრივებული შეიარაღებული ჯარი დაუხვდა წინ.

— გაგვიშვით მეფესთან, — მოითხოვდენ მუშები, მაგრამ პასუხად, მეფის ბრძანებით, თოფებმა იგრიალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2 ათასზე მეტი კაცი დაეცა უსულოდ და მრავალი ათასი დაბრუნდა შინ დაჭრილი და სამუდამოდ დასახიჩრებული.

აქაც არ გაუმართლდათ თვითმპყრობელობის დამქაშებს ანგარიში: როდესაც მუშებს ატყუებდენ მეფის იმედი გქონდეთო, ის დაგიფარავთო, ისინი არ ფიქრობდენ, რომ მუშები წავიდოდენ მეფესთან და სიცრუე გამომჟღავნდებოდა. როდესაც თოფები დაუშინეს და დაჟლიტეს შეუიარაღებელი ხალხი, ფიქრობდენ მუშების დაშინებას, მაგრამ კი არ ფიქრობდენ, რომ შიშის მაგიერ მუშების გული რისხვით აივსებოდა. და საშინელმა რისხვამ იფეთქა კიდეც მუშების გულში.

იმავე დღეს, იმავე ქუჩებში პეტროგრადში მრავალ ალაგას მოხდა მუშებისა და ჯარების შეტაკება რამოდენიმე დღის შემდეგ კი მთელ რუსეთში და საქართველოშიაც, რომელიც მაშინ რუსეთის იმპერიის ნაწილად ითვლებოდა, პროტესტის ნიშნად მუშებმა ყველგან გაფიცვები მოახდინეს და დემონსტრაციები მოაწყვეს.

დაიწყო 1905 წლის რევოლუცია.

9 იანვარს ხალხის დახვრეტამ დაანახვა მუშებს, რომ მუდარისა და თხოვნის პასუხად მეფისაგან მხოლოდ ტყვიებია მოსალოდნელი. რუსეთის მუშათა კლასმა იმ დღეს გაიგო დიდი ჭეშმარიტება, რომელიც აწერია ყველა ქვეყნების პროლეტარების დროშებს:

მონობისაგან ჩვენ ვერ გვიხსნის
ვერც ღმერთი, მეფე, ვერც გმირი.
თავისუფლებას მოგვანიჭებს
ჩვენივე მკლავი ძლიერი.

მუშათა აღელვება თანდათან მატულობდა. 1905 წ. დეკემბერში მუშები პეტიციებით კი აღარ წავიდენ მეფეს სასახლისაკენ, არამედ იარაღით ხელში.

მუშათა აჯანყება ჩაქრობილ იქნა მაშინ. ჩააქრეს აგრეთვე გლეხთა აჯანყებაც, რომელიც მუშების აჯანყებას მოჰყვა.

მაგრამ 1905 წლის გამოცდილება, 9 იანვრის გაკვეთილი მუშათა კლასმა და გლეხობამ არ დაივიწყა. იბრძოდენ და კიდევ უფრო კაჟდებოდენ რეაქციის დროს ბრძოლაში.

1917 წლის თებერვალში აღსდგა ხალხი და დაანგრია საუკუნეებით აშენებული თვითმპყრობელობის კედლები და 8 თვის შემდეგ კი მუშათა კლასი გახდა ხელისუფალი.

ცხრა იანვარი.

ნისლიან ქალაქში
დილა იყო თალხი.
როგორც მძლავრი ტალღა,
მიდიოდა ხალხი.

—

მიდიოდა იგი
გულუბრყვილო რწმენით,
რომ მას მეფე-მამა
აღავსებდა ლხენით.

—

მაგრამ უცებ, თითქოს
გრიგალ ქარის ქროლა,
ასტყდა საშინელი
თოფ-ზარბაზანთ სროლა.

—

რწმენით სავსე მკერდი
ტყვიით გაიჭედა:
მოკვდა ბავში, ქალი,
მოკვდა მამა, დედა...

—

იყო მკვდართა ხროვა,
სისხლის დადგა ღვარი...
თალხით შეიმოსა
ლხენის იანვარი.

ს. ურუშაძე

ახლა აღარ არის რუსეთის იმპერია, არ არის პეტერბურგი, საზამთრო სასახლე გადაიქცა მუზეუმად, სადაც მუშები და მათი შვილები ეცნობიან, თუ რა იყო თვითმპყრობელობა.

მაგრამ ახლაც ლენინგრადში რომანოვების ყოფილ სასახლესთან თავს იყრიან მუშათა მასები. იქ იგონებენ ლენინგრადის მუშები 1905 წლის 9 იანვრის გაკვეთილს; იმათთან ერთად იგონებენ ამ გაკვეთილს ყველა დამოუკიდებელი სოციალისტური რესპუბლიკები, რომლებიც შედიან საბჭოთა კავშირში.—ეს დიდებული გაკვეთილია, ეს იმისი გაკვეთილია, რომ არა მუდარითა და თხოვნით მჩაგვრელთა მიმართ, არამედ მათთან მედგარი ბრძოლით შეუძლიათ მოიპოვონ ყველა ქვეყნის ჩაგრულმა ხალხებმა თავისი თავისუფლება.

ლ. კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ გვატყუებს თვალი

თვალთახედვის შეცდომაში შეყვანა ძალიან ადვილია და კიდევაც სარგებლობენ ამით ომიანობის დროს გემებისა და ხმელეთის სხვადასხვა სამხედრო შენობების ნამდვილი სახის დაფარვის მიზნით.



სურ. 1.

სურ. 3



სურ. 2.



სურ. 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვა 1926 წ. გამოვა

ყოველთვიური საყმაწვილო დასურათებული ჟურნალები

მოზრდილთათვის **წითელი სხივი** წელიწადი მე-3

მცირეწლოვანთათვის **ნაკადული** წელიწ. მე-XXII

ჟურნალის ხ. ხ. ს. რ. ყველა სკოლებისათვის საჯალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშვთა კომუნისტური ჯაჭვების ცენტრალური წყვრის, ორგანიზაციის ცენტრალური კოლეგიტეტის, ბავშვთა კომუნისტური ძალების ფედერალური ხელმძღვანელის, პიონეროთაშორის და ხამკავშირეოლოგების ყალდებულებას გამოიწერონ:

„წითელი სხივი“ და „ნაკადული“

ხელის მოწერა მიიღება წლიურად:

„წითელი სხივი“ გაზეთზავნით — 5 მან.

„ნაკადული“ „ — 3 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომ. „წითელი სხივი“ — 45 კაპ.

„ „ „ნაკადული“ — 35 „

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი, № 31. განათლების სახალხო კომისარიატი. „წითელი სხივი“-ს და „ნაკადული“-ს რედაქცია.

რედაქტორი — **სარედაქციო კოლეგია.**

2/II—26. ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა პლეხანოვის პროსპექ. № 91.

მთავარლიტ № 142. შეკვ. № 4403/735 ტირაჟი 3000.